პროლეტარეგო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

18 თებერვალი ოთხშაბათი 1970 წელი 2 კაპ.

გამოცემის ორ-ე წელი • № 40 (14644)



მიმდინარე წელს ბევრი ჩქაროსნული ნადნობი გამოუშვეს რუსთავის მეტალურგიული ქარხნის მარტენის საამქროს მეფოლადეებმა. იანვარში და თებერვლის განვლილ დღეებში გეგმის გადამეტებით გამოდნობილია ასობით ტონა ზეგეგმითი ფოლადი.

საამქროს ოსტატთა შორის, ვინც ამ რთულ ოპერაციას გადაწყვეტა ადრე ახორციელებს, თავი გამოიჩინა მოწინავე მეფოლადე შ. ნოზაძემ, მის ანგარიშზე წელს რამდენიმე ჩქაროსნულად გამოშვებული ნადნობი ირიცხება.

მოწინავე მეტალურგი შ. ნოზაძე ლენინურ შრომითს ვახტაზე დგას. მისი ვალდებულებაა ნახევარი წლის დავალება ბელადის იუბილესათვის შესრულოს.

სურათზე: მეფოლადე შ. ნოზაძე.

ფოტო ხ. კილაძისა.

ავამოქმედოთ ხორცის წარმოების რეზერვები

ცუფლის მშრომელთა მუშაობის სამოქმედო პროგრამა დასახა სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1969 წლის დეკემბრის პლენუმმა. იგი გამომდინარეობს პარტიის XXIII ყრილობის ისტორიული გადაწყვეტილებებიდან. პლენუმზე აღნიშნა, რომ ხუთწლედის განვლილ წლებში მოპოვებულ დიდ წარმატებათა ფონზე არის ზოგიერთი ნაკლოვანებაც. ეს განსაკუთრებით შეეხება მეცხოველეობის განვითარებას. პარტია მკაცრად მოითხოვს ჯერ კიდევ არსებულ ნაკლოვანებათა სწრაფად გამოსწორებას, მინდობილი საქმისათვის თვითეული მუშაკის პასუხისმგებლობის ამაღლებას.

დასამაღალი როდია, რომ მომთხოვნელობის ყოველგვარმა შენელებამ შეიძლება გამოიწვიოს თვითდამშვიდება, ზოგიერთ მუშაკს კი ჩაუნერგოს უპასუხისმგებლობის გრძნობაც. ცხადია, ამან შეიძლება სერიოზული ზიანი მიაყენოს ყოველ საქმეს, კერძოდ — მეცხოველეობის განვითარებას.

ამიტომ აუცილებელია პარტიის ცენტრალური კომიტეტის დეკემბრის პლენუმის გადაწყვეტილებანი განუხრელად შესრულდეს. ამას ხელს უწყობს ის, რომ სახელმწიფო დიდ დახმარებას უწევს ჩვენს მეცხოველეებს. მეცხოველეობის განვითარებას ხმარდება მნიშვნელოვანი სახსრები, ფერმებისათვის დიდდება ტექნიკის გამოშვება, ფარდოდ ინერგება შრომატევად სამუშაოთა მექანიზაცია. მეცხოველეობის პროდუქციის წარმოების განუხრელი ზრდისათვის ზრუნავ ჩვენი პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო ორგანოების, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ყოველდღიური საბრძოლო ამოცანაა.

ამ ამოცანების შესრულებისათვის ჩვენი რესპუბლიკის მეცხოველეები, სოფლის პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო ორგანოები, სპეციალისტები სახავენ ქმედითს ღონისძიებებს, ენერგიულად იბრძვიან ვ. ი. ლენინის საიუბილეო 1970 წელს მიაღწიონ ახალ, დიდ წარმატებებს. ისინი გულმოდგინედ ავლენენ ახალ რეზერვებს და მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი, სამშობლოს მისცენ რაც შეიძლება მეტი-მეცხოველეობის პროდუქტები.

ამის მკაფიო მაგალითია წითელწყაროს, გორის, მახარაძის, გარდაბნისა და ახალციხის რაიონების მშრომელთა ინიციატივა, რომელიც ამას წინათ პრესაში დაიბეჭდა. იგი მოიწონა საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და რჩევა მისცა ადგილობრივ პარტიულ ორგანიზაციებს ყოველმხრივ მხარი დაუჭირონ აღნიშნული რაიონების თაოსნობას, ახალი ძალით გააჩაღონ სოციალისტური შეჯიბრება ნაკისრი ვალდებულებათა წარმატებით შესრულებისათვის.

ცნობილია, რომ ხორცის წარმოების დიდი რეზერვია მეღორეობისა და მეფრინველეობის განვითარება. სწორედ ამ დარგების განვითარებას უნდა დავუთმოთ სერიოზული უურადღება. ყოველმხრივ მხარდაჭერისა და მიბაძვის ღირსია წითელწყაროსა და ახალციხის რაიონების მშრომელთა გადაწყვეტილებანი სწრაფმზარდი დარგის—მეღორეობის განვითარების შესახებ. წითელწყაროს რაიონის მოსახლეობამ პირობა დადო ბაბასუქოს და სახელმწიფოს მიჰყიდოს 8.000 სული ღორი. მარტო ზემოგარეხაანელმა მშრომელებმა ისურვეს სახელმწიფოს მიჰყიდონ 1.500 სული ღორი.

მეტად საყურადღებოა ახალციხის რაიონის მშრომელთა თაოსნობა. მათ ერთსულოვნად გადაწყვეტეს თავიანთი წვლილი შეიტანონ მეცხოველეობის პროდუქტების სიუხვის შექმნაში და ვალდებულება იკისრეს 1970 წელს ბეგმის გადამეტებით სახელმწიფოს მიჰყიდონ ყოველი კომლის მიერ გაზრდილი თითო ღორი ცოცხალი წონით სულ მცირე 80 კილოგრამი. ამ გზით სახელმწიფოს დამატებით მისცენ 320 ტონა ხორცი.

საზოგადოებრივი მეცხოველეობის განვითარებასთან ერთად აქტიურად უნდა ვიზრუნოთ ხორცის რესურსების მაქსიმალურად ზრდისათვის. ამის ერთ-ერთი არსებითი წყაროა მოსახლეობის პირადი პირუტყვი. არის ფაქტები, რომ უკანასკნელ წლებში ბევრგან ხელი შეუშვეს ეოკეებისა და ფრინველის საკვების შეძენის საქმეს პირადი მეურნეობისათვის. საჭიროა ქოველი ღონისძიებით ხელი შეეწყოთ სოფლის მშრომელებს რაც შეიძლება მეტი მოაშენონ პირუტყვი, ფრინველი, განსაკუთრებით ღორები.

მინდვრების უხვი მოსავალი, მეცხოველეობის პროდუქტიულობის შუამავად ზრდა აგრონომის, ზოოტექნიკოსის, ვეტექიმის ჩინებული ატესტაციაა. ამიტომ არის, რომ პარტიას კვალიფიციური საქმის მცოდნე ათასობით ხელმძღვანელი სპეციალისტი სოფლად საიმედო დასაყრდენად მიაჩნია და დიდ იმედებს ამყარებს მათზე სოფლის მეურნეობის ყველა დარგის აღმავლობისათვის ბრძოლაში.

მაგრამ საჭიროა უფრო გაუზარდოთ კადრებისადმი, სპეციალისტებისადმი მომთხოვნელობა, დავამყაროთ სრული წესრიგი მეურნეობის ამა თუ იმ უბანზე. ამავე დროს დახმარება აღმოვუჩინოთ მათ მინდობილი საქმის შესრულებაში.

პირდაპირ უნდა ითქვას, რომ ზოგიერთი კოლმეურნეობა კვლავ არარენტაბელურად მუშაობს. მთელ რიგ კოლმეურნეობებში დაბალია მეცხოველეობის პროდუქტიულობა, საგრძნობია პირუტყვის სიკვდილიანობა, ზოგან ჯერ კიდევ დაბალია იარაღ-მანქანების გამოყენების კოეფიციენტი, ხშირია მეცხოველეობაში სამუშაოთა უხარისხოდ შესრულების შემთხვევები და სხვ.

ეს საკითხები უნდა აღელვებდეს როგორც ხელმძღვანელ მუშაკებს, ისე სპეციალისტებს. ისინი უნდა ახორციელებდნენ კონკრეტულ ღონისძიებებს შემჩნეულ ნაკლოვანებათა აღმოფხვრისათვის. გასულ წელს მთელმა რიგმა რაიონებმა, კოლმეურნეობებმა ვერ შეასრულეს ბორცის, რძის, კვერცხის წარმოებისა და დამზადების გეგმები. ზოგან დიდი იყო პირუტყვის სიკვდილიანობის პროცენტი. 1969 წელს ახალქალაქის რაიონში ცხვრის სიკვდილიანობამ შეადგინა 8,5 პროცენტი, ხოლო მხეფილფეხა რქიანი პირუტყვისამ — 2,7 პროცენტი. თიანეთის რაიონში ცხვრის სიკვდილიანობამ 15,7 პროცენტს მიაღწია, ახმეტის რაიონში — 11,2 პროცენტს, ყაზბეგის — 9,2, ლეწემის რაიონში — 4,5, ხოლო სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში — 9,4 პროცენტს. ასეთი ფაქტები სხვაგანაც იყო.

სამწუხაროდ, ზოგიერთ ნაკლი მიმდინარე წლის იანვარშიც გაგრძელდა. 1970 წლის 1 თებერვლისათვის 1969 წლის 1 თებერვლის მონაცემებთან შედარებით ცხვრისა და თხის სულადობა შემცირდა 8 პროცენტით. ამავე პერიოდში ხორცის რეალიზაცია (დაკლული წონით) რამდენადმე შემცირეს ბათუმის, კასპის, გურჯაანის, ბორჯომის, ყაზბეგის, ბოლნისის და სხვა რაიონებმა.

მსგავსი ნაკლოვანებანი არ უნდა გამეორდეს!

ყოველ კოლმეურნეობაში შესაძიებელი თვითეული ტრაქტორი, კომბაინი თუ სხვა მანქანა, თვითეული ტონა მინერალური ხასუქი, თვითეული ბეჭარი დაბრობილი ახალი მიწა ხელს უნდა უწყობდეს მეცხოველეობის რენტაბელობას, პროდუქციის წარმოების მუდმივად ზრდას. საქმე ისე უნდა მოეწყოს, რომ შრომის ნაყოფიერება უსწრებდეს ხელფასის ზრდას. საჭიროა მტკიცედ დავიცვათ ეს კანონი.

საქართველოს კოლმეურნე გლეხობა სამართლიანად ამაყობს მოპოვებული მიღწევებით. სოფლის მეურნეობის განვითარების საქმეში მიღწეული დიდი წარმატებებისათვის საქართველომ ორჯერ დაიმახსოვრა სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენის ორი პირველი ხარისხის და ერთი საპატიო დიპლომი. ახობი კოლმეურნე, სპეციალისტი დაჯილდოებულია გამოფენის მედლებითა და დიპლომებით.

ეს წარმატებანი თავისთავად არ მოსულა. მორიგი გამარჯვებაც უნდა მოვიპოვოთ თავდადებული შრომით. ამ საფუძველზე შევქმნათ მეცხოველეობის პროდუქტების სიუხვე.

ბგ ა ხ ს ო ვ ნ ე ს: მშრომელთა მატერიალური დაინტერესების მიზნით ამიერიდან მოსახლეობაში დამზადებული ღორისა და ფრინველის ხორცის შესასყიდი ფასები გაუტოლდა კოლმეურნეობაში დამზადებულ ხორცის ფასს. წელს რესპუბლიკაში ღორის ხორცი ორჯერ, ხოლო ფრინველის ხორცი 1,5-ჯერ მეტი უნდა დამზადდეს, ვიდრე შარშან. ამოცანა ის არის, რომ თვითეულმა კოლმეურნემ, საბჭოთა მეურნეობის მუშამ, მოსახლეობამ, პენსიონერმა შეიძინოს და გაზარდოს 2-3 ღორი, 30-35 ფრთა ფრინველი.

დიდი სამუშაო წინ არის. ყოველი ღონისძიებით გამარჯვოთ მეცხოველეობის პროდუქტების 1970 წელი უნდა გახდეს ნამდვილი სიუხვის წელი.

ჩქარიდან-ჩქარამდე!

ოთხი თვის გეგმა — ლენინის იუბილესათვის

საქართველოს ბევრი სამრეწველო საწარმოს კოლექტივებმა მხურვალედ დაუჭირეს ხსარი ქალაქ მოსკოვის, კემეროვოს, მურმანსკისა და ვოროშილოვგრადის ოლქების საწარმოთა და ორგანიზაციათა მუშებისა და მოსამსახურეების ინიციატივას გაშალონ სოციალისტური შეჯიბრება, რათა გადააჭარბონ აგრეგატების წინათ მიღწეულ მაჩვენებლებს და ოთხი თვის გეგმა შეასრულონ 1970 წლის 22 აპრილისათვის — ვ. ი. ლენინის დაბადების დღისათვის.

რუსთავის მეტალურგიული ქარხნის მარტენის საამქროს კოლექტივმა გადაწყვიტა 22 აპრილამდე გამოუშვას 800 ჩქაროსნული ნადნობი. შეჯიბრების ავანგარდში დგას პირველი ღუმელის კოლექტივი, რომელიც ყოველდღიურად ათობით ტონა ზეგეგმით ფოლადს იძლევა.

მეტალურგებს არც მეშახტეები ჩამორჩებიან. ტყვარჩელის ქვანახშირის ტრესტის № 2 შახტის კოლექტივმა, რომელიც გასული წლის 19 ნოემბრიდან საიუბილეო წლის ანგარიშში მუშაობს, გადაწყვიტა დირსეულად აღნიშნოს ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავი და 1970 წლის 22 აპრილისათვის შეასრულოს ქვანახშირის ამოღების ოთხი თვის დავალება, ხოლო აპრილის დამლევამდე ამოიღოს ზეგეგმითი 2 ათასი ტონა სათბობი.

ბათუმის ბამბუკის ავეჯის ფაბრიკის კოლექტივი დიდი გადაჭარბებით ასრულებს საწარმოო პროგრამას. საწარმოს კოლექტივმა გადაწყვიტა ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავისათვის მომზადაღი ხუთწლედის ანგარიშში გამოუშვას 500 ათასი მანეთის ნაწარმი.

სოციალისტურ ვალდებულებას, რომ ოთხი თვის პროგრამა 1970 წლის 22 აპრილისათვის გაანაღდონ, წარმატებით ასრულებენ თბილისის ლენინის კონსტრუქციების ქარხნის, ბორჯომის მინის ქარხნის, ჟუთაისის ბარიტის მაღაროსამმართველოს, ცხინვალის „ელექტროსადენის“ ქარხნის კოლექტივები.

საქართველოს პროფსაბჭოს პრეზიდიუმი დიდ სახალხოსამეურნეო მნიშვნელობას ანიჭებს ამ საყურადღებო ინიციატივის ფართოდ გავრცელებას და ურჩია პროფკავშირთა საოლქო საბჭოებს, რესპუბლიკურ, საფაბრიკო-საქარხნო კომიტეტებს სამეურნეო ორგანოებთან ერთად შეიმუშაონ და განახორციელონ ღონისძიებანი, რათა მოიპოვონ შრომის ნაყოფიერების კიდევ უფრო მაღალი მაჩვენებლები, საწარმოო დავალებათა ვადამდე შესრულებით აღნიშნონ ლენინის იუბილე. (საქდესი).



ქოგულეთის რაიონის ჩაის პლანტაციებში უკვე იგრძნობა გაზაფხულის მოახლოება. მიმდინარეობს პლანტაციების მწკრივთა შორის მექანიზებული კულტივაცია. ამ მხრივ მრავალი კოლმეურნეობა დაწინაურდა. სურათზე: ჩაის პლანტაციების კულტივაცია ქობულეთის რაიონის ციხისძარის კოლმეურნეობაში.

ფოტო ნ. ანასტასიადისა (საქდესის ფოტოქრონიკა).

ქართული ბარიტი ავღანეთში

ჟუთაისი. (საკ. კორ.). ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავის აღსანიშნავად ნაკისრ სოციალისტურ ვალდებულებებს სასახელოდ ანაღდებს „ჟუთაბარიტის“ მაღაროთა სამმართველოს კოლექტივი. იანვარში აქ პროდუქციის გამოშვების დავალება 119,4 პროცენტით შესრულეს, ხოლო რეალიზაციისა 112,2 პროცენტით.

მაღაროელებმა გადამეტებით შეასრულეს მადნის ამოღების, გამდიდრების, დაფქვისა და ფლოტაციის გეგმა. იანვარში გეგმის ზევით გამოშვებულია 551 ტონა ფლოტირებული ბარიტი. გასულ თვენახევარში მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა მადნის ხარისხი. გეგმით გათვალისწინებული 85 პროცენტის ნაცვლად მადანში ბარიტის შემცველობამ 87-88 პროცენტს მიაღწია. მაღაროთა სამმართველო ვადამდე ასრულებს, როგორც ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა კუთხის, ისე საზღვარგარეთის ქვეყნების დაკვეთებს. თებერვალში ასობით ტონა ფლოტირებული ბარიტი გაგზავნა ავღანეთში.

ლენინურ საიუბილეო შეჯიბრებაში ყველას უსწრებენ ჟუთაისის ბარიტის საფლოტაციო ქარხნის, ფიეიკარისა და ჟონეთ-კიროვის მაღაროების კოლექტივები, რომლებსაც გამოცდილი სპეციალისტები ვ. ცხადაძე, ნ. ჯოშვილი და ა. ბოდოკია უძღვებიან.

აგური — გეგმის გადამეტებით

ავჭალის სილიკატური აგურის ქარხნის (დირექტორი ჯ. გურგენიძე) კოლექტივმა საიუბილეო წელს ვალდებულება იკისრა თბილისელ მშენებლებს გეგმის გადამეტებით მიაწოდოს 1 მილიონ 800 ათასი ცალი აგური. მეავტურებმა დაპირება შესასრულებლად წლის პირველი დღეებიდანვე ენერგიული შრომა გაანაღეს. იანვარში სასურველ შედეგს მიაღწიეს. რეალიზაციის დაჭარბება 102,2 პროცენტით გაანაღდეს, ხოლო საერთო პროდუქციის გამოშვებისა — 104,8 პროცენტით. გეგმის გადამეტებით გამოუშვეს 626 ათასი ცალი აგური და 2.500 მანეთის კერამიკული ნაწარმი.

სოციალისტურ შეჯიბრებაში პირველობას არავის არ უთმობენ ბრიგადები, რომლებსაც გ. ყურაშვილი და ა. ვახტანგაშვილი ხელმძღვანელობენ, შრომაში თავი გამოიჩინეს დამწყობებმა ჯ. სამანაურმა და გ. ჯერარანოვმა.



მანქანები — მწყობრში

საგაზაფხულო სამუშაოების დაწყებამდე უნდა შეკეთდეს 60 ტრაქტორი, 30 ავტომანქანა, 17 ჩაის საკრეფი მანქანა „საქართველო“, 18 გუთანი, 4 სათესი, 11 კულტივატორი, სიმინდელ მექანიზატორთა მაგალითისამებრ გაშლილია სოციშეჯიბრება. უკვე შეკეთდა 30 ტრაქტორი, 10 ჩაის საკრეფი მანქანა „საქართველო“, 18 ავტომანქანა.

რაიონის მექანიზატორებს არც „სავშოფლტექნიკის“ მეხარაძის განყოფილების. სარემონტო სახელოსნოს მექანიზატორები ჩამორჩნენ.

წელს სახელოსნოს უნდა შეეკეთებინა 100 ტრაქტორი, შეკეთებულია 102, 30-ის ნაცვლად შეკეთებულია 45 ავტომანქანა. გადაჭარბებით არის შესრულებული აგრეთვე სხვა სახის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის რემონტის გეგმა.

ლ. ხავთასი,

„საქსოფლტექნიკის“ მეხარაძის განყოფილების მთავარი ინჟინერი.

მინდვრებსა და ბაღლებში

შემოქმედებითი შრომა ვაჩაღდა ახალციხის რაიონის კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობების მინდვრებსა და ხეხილის ბაღებში.

ახალციხელები მტკიცე საფუძველს უყრიან ხუთწლედის უკანასკნელი წლის უხვ მოსავალს. კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების 1.489 ჰექტარ ბაღებში უკვე მოხნულია რიგთაშორისები, შეტანილია 37.098 ტონა მინერალური და ორგანული სასუქები.

შარშან რაიონის კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში გაშენდა 271 ჰექტარი ახალი ხეხილის ბაღი. წელს 26 ჰექტარზე ხეხილის ბაღების გაშენება წარმატებით გრძელდება. ამ საქმეში ნაყოფიერად მუშაობენ აწყურისა და წყალთბილას საბჭოთა მეურნეობების მშრომელები.

ბ. ალავიძე.

ახალი ვენახი

ვანის რაიონის სოფელ ზეინდრის კოლმეურნეობის ზვრებს 186 ჰექტარზე მეტი უჭირავს. ახლახან გაშენდა 5 ჰექტარი ახალი ვენახი.

ვენახის ნარგავებს ხაუკეთესოდ უვლიან ბრიგადები, რომლებსაც ა. ბაღდავაძე, ვ. ადეიშვილი, ნ. ციხაძე ხელმძღვანელობენ. კარგად შრომობენ მევენახეები გ. დვალიშვილი, რ. გიორგაძე, ბ. ადეიშვილი, ბ. ხალილაძე. ისინი მტკიცე საფუძველს უყრიან საიუბილეო წლის უხვ მოსავალს.

ა. ხუციძე.

შრომა—მეცნიერულ საფუძველზე

რესპუბლიკური კონფერენცია შრომის, წარმოებისა და მართვის მეცნიერული ორგანიზაციის საკითხებზე

16-17 თებერვალს თბილისის რკინიგზელის სახლში მიმდინარეობდა რესპუბლიკური კონფერენცია შრომის, წარმოებისა და მართვის მეცნიერული ორგანიზაციის საკითხებზე. კონფერენციას, რომელიც საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა მოიწვია, დაესწრნენ სამინისტროთა, უწყებათა და საწარმოთა, შრომის მეცნიერული ორგანიზაციის ქვეგანყოფილებათა ხელმძღვანელები, სამეცნიერო-საკვლევ დაწესებულებათა, პროფკავშირულ ორგანიზაციათა მუშაკები, პარტიის საოლქო კომიტეტების, საქალაქო კომიტეტების, რაიკომების, პირველადი პარტიული ორგანიზაციების მდივნები.

კონფერენცია შესავალი სიტყვით გახსნა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა რ. ი. ფრუნზემ.

მოხსენებანი წაიკითხეს: საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარემ გ. შ. მიქელაძემ „შრომის მეცნიერული ორგანიზაცია და ტექნიკური პროგრესი“, საქართველოს კომპარტიის თბილისის კომიტეტის მდივანმა ნ. შ. ცხაკაიამ „შრომის მეცნიერული ორგანიზაციის დანერგვა პარტიული ზრუნვის საგანია“, რუსთავის მეტალურგიული ქარხნის დირექტორმა ს. ა. შარაძენიძემ „შრომის მეცნიერული ორგანიზაციის ეკონომიკურ ეფექტიანობა“ მანქანათმშენებლობისა და ელექტროტექნიკის საკოეფტო-ტექნოლოგიური საშენაგნო-საკვლევი ინსტიტუტის დირექტორმა თ. ნ. ლოლაძემ „ინჟინერ-ტექნიკური მუშაკების შრომა-მეცნიერულ საფუძველზე“, საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ ი. ს. მიქელაძემ „შრომის მეცნიერული ორგანიზაცია და სამეურნეო რეფორმა“, თბილისის ვ. ი. ლენინის სახელობის ელექტროსაშენებელო ქარხნის ზენაკალმა ა. გ. გორგაძემ „შრომის მეცნიერული ორგანიზაციის საამქროში“, თბილისის დიმიტროვის სახელობის საავიაციო ქარხნის მთავარმა ინჟინერმა გ. ნ. პივოვაროვმა „შრომის მეცნიერული ორგანიზაცია და ბრძოლა წარმოების ეკონომიკისათვის“, ბათუმის ელექტრომექანიკური ქარხნის დირექტორმა ი. გ. უნგიაძემ „შრომის მეცნიერული ორგანიზაცია და მისი ეფექტიანობა ქარხანაში“, საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის მინისტრის მოადგილემ ნ. ი. მელიქიშვილმა „შრომის მეცნიერული ორგანიზაცია საავტომობილო ტრანსპორტის საწარმოებში“, პარტიის ქუთაისის საქალაქო კომიტეტის პირველმა მდივანმა ო. ს. ბოჭოიძემ „შრომის მეცნიერული ორგანიზაცია ქუთაისის საწარმოებში“, „საქართველოს სსრ კვების მრეწველობის მინისტრმა ვ. ი. ვადაჭკორიამ „შრომის მეცნიერული ორგანიზაცია საქართველოს სსრ კვების მრეწველობის საწარმოებში“, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციოლოგიის კათედრის გამგემ პროფესორმა ვ. მ. ქვაჩახიამ „სოციოლოგიის საკითხები შრომის მეცნიერულ ორგანიზაციაში“, საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან არსებული სახალხო მეურნეობის ეკონომიკისა და დაგეგმვის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის დირექტორმა ვ. ი. მელქაძემ „შრომის მეცნიერული ორგანიზაციის საბჭოთა და საზღვარგარეთული გამოცდილება“.

კონფერენციის შედეგები შეაჯამა რ. ი. ფრუნზემ.

კონფერენციის მონაწილეებმა მიიღეს რეკომენდაციები რესპუბლიკის საწარმოებში შრომის მეცნიერული ორგანიზაციის დანერგვისათვის.

კონფერენციის მუშაობის დღეებში რკინიგზელის სახლში ჯახნილი იყო, გამოფენა შრომის მეცნიერული ორგანიზაციის საკითხებზე, მოეწყო ტექნიკური კინოფილმების განხილვა, ეკსკურსიები თბილისის მოწინავე სამრეწველო საწარმოებში.

კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობდნენ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეები ე. მ. ჯაფარიძე და ა. მ. ლაბახუა.

კონფერენციის მუშაობის შესახებ ანგარიში გამოქვეყნდება. (საქდესი).

მეგობართა შეხვედრა

17 თებერვალს მოსკოვში გაიხსნა სიმპოზიუმი, რომელშიც მონაწილეობს ბულგარეთის, უნგრეთის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის, ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის, სამხრეთ ვიეტნამის რესპუბლიკის, კუბის, კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის, მონღოლეთის, პოლონეთის, რუმინეთის, სსრ კავშირის, ჩეხოსლოვაკიისა და იუგოსლავიის ქალთა ორგანიზაციების 200-მდე წარმომადგენელი. სიმპოზიუმის თემა „ვ. ი. ლენინი საზოგადოებაში ქალთა [illegible] შესახებ და ქალთა საკითხის გადაწყვეტის გამოცდილება სოციალისტურ ქვეყნებში“.

მოხსენება გააკეთა სკკპ მოსკოვის საქალაქო კომიტეტის მდივანმა, ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატმა ა. პ. მაპოშინკინამ.

სიმპოზიუმის მუშაობაში მონაწილეობს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, საკავშირო პროფსაბჭოს თავმჯდომარე ა. ნ. შელეპინი. (საქდესი).

მინსკური თვითმცლელები ქალაქს იკრეებენ

მინსკი, 17 თებერვალი. (საქდესი). დღეს მინსკის საავტომობილო ქარხნის. მთავარ კონვეიერზე დამთავრდა „მაზ-504-უ“ მარკის მოდერნიზებული უნაგირა საწევარების პირველი სამრეწველო პარტიის აწყობა.

ახალ საწევარს ნახევარ მისაბმელითა და 17,5 ტონა ტვირთით შეუძლია საათში განავითაროს სიჩქარე 85 კილომეტრამდე. მანქანაზე დადგმულია უფრო მძლავრი ძრავა, გადაბმულობა ორდისკოიანია. გაძლიერებულია წინა ღერძი და კარდანის ლილვი.

ახლა საწარმო ემზადება „მაზ-503-ა“ მარკის მოდერნიზებული ავტოთვითმცლელების სამრეწველო პარტიის გამოსაშვებად.

საბჭოთა კადრები სწავლობენ

17 თებერვალს თბილისში დაიწყო ხელმძღვანელი პარტიული და საბჭოთა კადრების გადამზადების მუდმივმქმედი ერთთვიანი კურსების მსმენელთა მორიგი ნაკადის მეცადინეობა.

მეცადინეობას შეუდგნენ მშრომელთა დეპუტატების სასოფლო და სადაბო საბჭოების აღმასკომების თავმჯდომარეები.

კურსები შესავალი სიტყვით გახსნა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანმა ზ. ა. კვაჭაძემ.

ა. ციციშვილისა — „სოციალიზმის მსოფლიო სისტემა და მისი გაგლენა მსოფლიო რევოლუციური პროცესის განვითარებაზე“, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორ ვ. დონდუასა — „ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის განვითარების პრობლემები თანამედროვე ეტაპზე“, ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის, დოცენტ შ. ნოზაძისა — „ეროვნულ და ინტერნაციონალურ ინტერესთა შეხამება თანამედროვე ეტაპზე“, ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის ა. ავალიანისა — „საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ბრძოლა საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობის შეკავშირებისათვის“, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორ ი. ტაბაღუასა — „სსრ კავშირის საერთაშორისო მდგომარეობა“.

განხილვაში მონაწილეობდნენ საბჭოგადოება „ცოდნის“ ლექტორები ბ. ბეჭანა (ბათუმი), ა. გინუგრავა (ზესტაფონი), ბ. ალელიშვილი (ლანჩხუთი), ბ. დარჯანია (გორი), ნ. ჯობოდავა (სოხუმი), გ. ჯაოშვილი (ახალციხე).

დასასრულ თათბირ-სემინარის მონაწილეებს უჩვენეს დიაფილმი „ლენინი და საქართველო“. (საქდესი).

თათბირ-სემინარი

16-17 თებერვალს გაიმართა ისტორიისა და საერთაშორისო ურთიერთობის საკითხების ლექტორთა და ლენინური სახალხო უნივერსიტეტების რეტორთა რესპუბლიკური თათბირ-სემინარი თემაზე „სკკპ ცენტრალური კომიტეტის თეზისები ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავისადმი“ ბ. ბ. ლენინის დაბადების 100 წლისთავისათვის და თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობის ზოგიერთი აქტუალური პრობლემა“. თათბირ-სემინარი მოაწყო საზოგადოება „ცოდნის“ რესპუბლიკურმა გამგეობამ.

თათბირ-სემინარი შესავალი სიტყვით გახსნა საზოგადოება „ცოდნის“ გამგეობის თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ ნ. ჯახრაკიამ.

მოხსენება „სკკპ ცენტრალური კომიტეტის თეზისები ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავისადმი და იდეოლოგიური მუშაობის ამოცანები თანამედროვე ეტაპზე“ გააკეთა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პროპაგანდის განყოფილების გამგემ დ. გოგოხიამ.

თათბირზე მრავალნიეს მოხსენებანი პროფესორ დ. ენუქიძისა — „ვ. ი. ლენინი საბჭოთა სახელმწიფოს საგარეო პოლიტიკის ძირითადი პრინციპების შესახებ“, ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის ა. ციციშვილისა — „სოციალიზმის მსოფლიო სისტემა და მისი გავლენა მსოფლიო რევოლუციური პროცესის განვითარებაზე“, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორ ვ. დონდუასა — „ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა თანამედროვე ეტაპზე“, ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის, დოცენტ შ. ნოზაძისა — „ეროვნულ და ინტერნაციონალურ ინტერესთა შეხამება თანამედროვე ეტაპზე“, ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის ა. ავალიანისა — „საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ბრძოლა საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობის შეკავშირებისათვის“, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორ ი. ტაბაღუასა — „სსრ კავშირის საერთაშორისო მდგომარეობა“.

განხილვაში მონაწილეობდნენ საზოგადოება „ცოდნის“ ლექტორები ბ. ბეჭანა (ბათუმი), ა. გინუგრავა (ზესტაფონი), ბ. ალელიშვილი (ლანჩხუთი), ბ. დარჯანია (გორი), ნ. ჯობოდავა (სოხუმი), გ. ჯაოშვილი (ახალციხე).

დასასრულ თათბირ-სემინარის მონაწილეებს უჩვენეს დიაფილმი „ლენინი და საქართველო“. (საქდესი).

ჩვენს დიად სამშობლოში

სსრკ მინისტრთა საბჭოსთან არსებული მეცნიერებისა და ტექნიკის დარგის ლენინური და სსრკ სახელმწიფო პრემიების კომიტეტიდან

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული მეცნიერებისა და ტექნიკის დარგის ლენინური და სსრ კავშირის სახელმწიფო პრემიების კომიტეტი იუწყება, რომ 1970 წლის ლენინური პრემიების მოსაბოვებლად კონკურსში მონაწილეობისათვის დაშვებულია შემდეგი ნაშრომები:

1. ა. ი. ალიხანიანი, ტ. ლ. ახათიანი, ს. ა. დოლგოშეინი, ს. ა. ლუჩკოვი, ვ. ნ. როინიშვილი, გ. ე. ჩიქოვანი „ტრიკის ნაბერწყლოვანი კამერები“.

წარმოდგენეს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ფიზიკის ინსტიტუტმა, მოსკოვის საინჟინრო ფიზიკის ინსტიტუტმა, ერევნის ფიზიკის ინსტიტუტმა.

2. ვ. ვ. აფროსიმოვი, ვ. მ. დუკელსკი, ნ. ვ. ფედორენკო, ო. ბ. ფირსოვი „ელემენტარული პროცესები და პარადრამული გაბნევა ატომური შეჯახებების დროს“ (ნაშრომების ციკლი).

წარმოდგენა სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ა. ფ. იოფეს სახელობის ფიზიკა-ტექნიკის ინსტიტუტმა.

3. ვ. ვ. ვლადიმირსკი, დ. ვ. კოშკარიოვი, ა. ა. კუზნინი, ა. ა. ლოგუნოვი, რ. მ. სულიაევი, ი. ფ. მალიშევი „მაღალი ენერგიების ფიზიკის ინსტიტუტის 70 კიდროელექტრონ-პოზიტრონული პროტონული სინქროტრონის შემუშავება და ამოქმედება“.

წარმოდგენეს მაღალი ენერგიების ფიზიკის ინსტიტუტმა, თეორიული და ექსპერიმენტული ფიზიკის ინსტიტუტმა, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის რადიოტექნიკურმა ინსტიტუტმა და დ. ვ. ეფერმოვის სახელობის ელექტროფიზიკური აპარატურის საკვლევარო-საკვლევმა ინსტიტუტმა.

4. ა. ა. ვლასოვი „ნაშრომების ციკლი კლაზმის თეორიის შესახებ, რომელიც შეიცავს მისი თვისებების კვლევის ფუნდამენტურ მეთოდს“.

წარმოდგენა მოსკოვის მ. ვ. ლომონოსოვის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიზიკის ფაკულტეტმა.

5. ა. ბ. მიგდალი „ველის კვანტური თეორიის მეთოდების გამოყენება მრავალი სხეულის პრობლემისა და ბირთვის თეორიისათვის“.

წარმოდგენა ი. ვ. კურჩატოვის სახელობის ატომური ენერგიის ინსტიტუტმა.

6. ვ. გ. სოლოვიოვი „ზებამბარი ტიპის ჭეშვილი კორელაციები და დეფორმირებული ბირთვების სტრუქტურა“ (ნაშრომების ციკლი).

წარმოდგენა ატომგულის კვლევის გაერთიანებული ინსტიტუტის თეორიული-ფიზიკის ლაბორატორიამ.

7. ა. ა. ტიაპკინი „ელემენტარული ნაწილაკების გაზგანმუხტავი დეტექტორების მართული იმპულსური კვება“ (ნაშრომების ციკლი).

წარმოდგენა ატომგულის კვლევის გაერთიანებული ინსტიტუტის ატომგულის პრობლემათა ლაბორატორიამ.

8. რ. ვ. ხოხლოვი, ს. ა. ახმანოვი, ა. ი. კოვრიგინი, ა. ს. ხუხოროუკოვი, დ. ნ. კლიშკო, ვ. ვ. ფადეევი „სრაფრფიული კოჰერენტული ურთიერთმოქმედების კვლევა ოპტიკაში, რასაც, ძირეულ, მოიყვა სიხშირის მიხედვით კვლავადსაჯუფი სინათლის გენერატორების შექმნა“.

წარმოდგენა მოსკოვის მ. ვ. ლომონოსოვის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიზიკის ფაკულტეტმა.

9. ბ. ს. ალექსანდროვი „ბამოკვლევანი ტოპოლოგიური სიგრცეების კოგომოლოგიური თეორიის დარგში“ (ნაშრომების ციკლი).

წარმოდგენა მოსკოვის მ. ვ. ლომონოსოვის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის მექანიკა-მათემატიკის ფაკულტეტმა.

10. ი. ა. იბრაგიმოვი, ი. ვ. ლინიკი, ი. ვ. პროხოროვი, ი. ა. როზანოვი „ნაშრომების ციკლი ალბათობის თეორიის, მათემატიკური სტატისტიკისა და მათი მათემატიკური გამოყენების შესახებ“.

წარმოდგენეს სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ვ. ა. სტეკლოვის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტმა და ამავე ინსტიტუტის ლენინგრადის განყოფილებამ.

11. ა. ა. ილიუშინი „ბამოკვლევათა ციკლი კლასიკურობის, სიმეტრიულობისა და გლანდოლოკალობის თეორიის შესახებ“.

წარმოდგენეს მოსკოვის მ. ვ. ლომონოსოვის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის მექანიკა-მათემატიკის ფაკულტეტმა, უკრაინის სსრ მეცნიერებათა აკადემიის მექანიკის ინსტიტუტმა, ლატვიის სსრ მეცნიერებათა აკადემიის პოლიმერების მექანიკის ინსტიტუტმა, აზერბაიჯანის სსრ მეცნიერებათა აკადემიის მათემატიკისა და მექანიკის ინსტიტუტმა, აზერბაიჯანის სსრ ნავთობმომპოვებელი მრეწველობის სამინისტრომ.

12. ა. ს. მონინი, ა. მ. იაგლომი „სტატისტიკური ჰიდრომეკანიკა“ (ორტომიანი მონოგრაფია).

წარმოდგენა სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ბ. ბ. შირშოვის სახელობის ოკეანოლოგიის ინსტიტუტმა.

13. ნ. ნ. სემენოვი „ბამოკვლევათა ციკლი ჯაჭვური რეაქციებისა და რეაქციის უნარის თეორიის განვითარების დარგში“.

წარმოდგენა სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ქიმიური ფიზიკის ინსტიტუტმა.

14. ა. ნ. ტერენინი „სალეგრეგისა და მონათესავე ორგანული შენაერთების მოლეკულების ფოტოქიმია“ (მონოგრაფია).

წარმოდგენა ს. ი. ვავილოვის სახელობის ოპტიკის სახელმწიფო ინსტიტუტმა.

15. ვ. კ. ანოხინი „პირობითი რეფლექსის ბიოლოგია და ნეიროფიზიოლოგია“ (მონოგრაფია).

წარმოდგენეს მოსკოვის ი. მ. სეჩენოვის სახელობის პირველმა სამედიცინო ინსტიტუტმა, სსრ კავშირის მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის ნორმალური და პათოლოგიური ფიზიოლოგიის ინსტიტუტმა და საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ფიზიოლოგიის ინსტიტუტმა.

16. ი. ი. მინცი „დიდი ოქტომბრის ისტორია“, ტომი 1. თვითმპყრობელობის დამხობა. **ტომი 2.** დროებითი მთავრობის დამხობა. პროლეტარიატის დიქტატურის დამყარება.

წარმოდგენეს უკრაინის სსრ მეცნიერებათა აკადემიის ისტორიის ინსტიტუტმა, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ციმბირის განყოფილების ისტორიის, ფილოსოფიის და ფილოსოფიის ინსტიტუტმა, უკრაინის კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებულმა პარტიის ისტორიის ინსტიტუტმა, ესტონეთის კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებულმა პარტიის ისტორიის ინსტიტუტმა და სომხეთის სსრ მეცნიერებათა აკადემიის საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილებამ.

17. ი. მ. შუმინოვი, ხ. შ. ინოიადოვი, ხ. ნ. პოკროვსკი, ლ. მ. ლაბდ, კ. შუხამედბერდიევი „საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვება შუა აზიასა და უკაზასეთში“ (მონოგრაფია).

წარმოდგენა უზბეკეთის სსრ მეცნიერებათა აკადემიამ.

18. ა. მ. ბაბკინი, ხ. გ. ბარხუდაროვი, ხ. ბ. ობნორსკი, ფ. ბ. ფილინი, ვ. ი. ჩერნიშევი „თანამედროვე რუსული ლიტერატურული ენის ლექსიკონი“ (17 ტომად).

წარმოდგენა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული მეცნიერებისა და ტექნიკის დარგის ლენინური და სსრ კავშირის სახელმწიფო პრემიების კომიტეტის ფილოლოგიის მეცნიერებათა სექციამ.

19. ნ. ი. კონრადი. წიგნი „დასავლეთი და აღმოსავლეთი“.

წარმოდგენა სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ა. მ. გორკის სახელობის მსოფლიო ლიტერატურის ინსტიტუტმა.

20. ნ. ნ. ნეკრასოვი, ნ. ბ. ფედორენკო ნაშრომთა ციკლი „ძვირფასი მრეწველობის ეკონომიკის მეცნიერული საფუძვლების დარგში“. (ნ. ნ. ნეკრასოვი: „ქიმიური მრეწველობის ეკონომიკა“, 1966; „ქიმიზაცია სსრ კავშირის სახალხო მეურნეობაში“, 1955; ნ. ბ. ფედორენკო: „ორგანული სინთეზის მრეწველობის ეკონომიკის საკითხები“, 1967; „სინთეზური მასალების მრეწველობის ეკონომიკა“, 1967).

წარმოდგენა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული მეცნიერებისა და ტექნიკის დარგის ლენინური და სსრ კავშირის სახელმწიფო პრემიების კომიტეტის ეკონომიკის მეცნიერებათა სექციამ.

21. ბ. მ. კედროვი „ბამოკვლევათა ციკლი დ. ი. მენდელეევის პერიოდული კანონის აღმოჩენისა და ქიმიური ატომისტიკის ისტორიის მასალების საფუძველზე მეცნიერული შემეცნების ლოგიკის დამუშავების დარგში“ („ერთი დიდი აღმოჩენის დღე“, 1958; „პერიოდული კანონის შესახებ დ. ი. მენდელეევის პირველი შრომების ფილოსოფიური ანალიზი“, 1959; „დალტონის ატომისტიკა“, 1949).

წარმოდგენა სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ფილოსოფიის ინსტიტუტმა.

22. გ. ნ. სპერანსკი, ი. ფ. დომბროვსკაია, ა. ფ. ტური „ნაშრომთა ციკლი ჩვილ ბავშვთა ფიზიოლოგიისა და პათოლოგიის დარგში, რომლებიც ხელს უწყობენ ბავშვთა დაავადებისა და სიკვდილიანობის მკვეთრ შემცირებას“ (გ. ნ. სპერანსკი: „ჩვილ ბავშვთა კვების ქრონიკული დარღვევანი“, 1953; „ჯანსაღი და ავადმყოფი ბავშვის კვება“, 1959; „ჩვილი და სკოლამდელი ასაკის ბავშვის გამოწრთობა“, 1964; ი. ფ. დომბროვსკაია: „ჩვილი ასაკის ბავშვთა პნევმონიები“, 1955; „მზარდი ორგანიზმის ჰიპოქსენიის კლინიკა და პათოგენეზი“, 1961; ა. ფ. ტური: „ახლადშობილ ბავშვთა ფიზიოლოგია და პათოლოგია“, 1967; „სამბავშვო ასაკის ჰემატოლოგია“, 1963).

წარმოდგენა სსრ კავშირის მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის პედიატრიის ინსტიტუტმა.

23. ვ. ა. ამბარაროვი, ლ. ნ. კაბანეცი, ი. ი. ნეხტეროვი, ფ. კ. სალმანოვი, ვ. გ. სმირნოვი, ა. დ. სტოროჟეევი „ნავთობის დიდი საბადოების ალმოჩენა ტიუმენის ოლქში და სამრეწველო მარაგის დაჩქარებული მომზადება“.

წარმოდგენეს რუსეთის სფსრ გეოლოგიის სამინისტროს „გლავტიუმენგეოლოგიამ“ და სკკპ ტიუმენის საოლქო კომიტეტმა.

24. გ. პ. ბოგომოიაკოვი, ი. ი. გირია, კ. ვ. კავალეროვი, ა. გ. კრაევი, ვ. ტ. პოდშიბიაკინი, ვ. ვ. სობოლევსკი „ბუნებრივი გაზის დიდი და უნიკალური საბადოების ალმოჩენა დასავლეთ ციმბირის ჩრდილოეთ რაიონებში, მათი ეფექტიანი დაზვერვა და სამრეწველო მარაგის მომზადება“.

წარმოდგენეს რუსეთის სფსრ გეოლოგიის სამინისტროს „გლავტიუმენგეოლოგიამ“, სკკპ ტიუმენის საოლქო კომიტეტმა და გაზის მრეწველობის სამინისტრომ.

25. ბ. ხ. ბალაკშინი, ხ. პ. პროტოპოპოვი, ბ. მ. ბაზროვი, ე. ი. ლუცკოვი, ი. მ. სოლომენცევი, ვ. ა. ტიმირიაზევი „სპიდის“ (ჩარხისამარჯვი-ინსტრუმენტი-დეტალი) სისტემით დრეკადი გადაადგილების გზით ჩარხებზე დეტალების დამუშავების სიზუსტის აწევლებისა და წარმადობის გადიდების პროგრესიული დამუშავების მეცნიერული კვლევა“.

წარმოდგენა მოსკოვის ჩარხინსტრუმენტების ინსტიტუტმა.

26. გ. ვ. ნოვიკოვი, ი. ა. კუტეპოვი, ვ. ი. სმირნოვი, დ. ვ. ლეშჩინერი, ვ. მ. შეინინი, ა. ა. ოვჩაროვი „ილ-62 საკონტინენტთაშორისო სამგზავრო თვითმფრინავის შექმნა“.

წარმოდგენა საავიაციო მრეწველობის სამინისტრომ.

27. ა. ს. იაკოვლევი, ე. გ. ადლერი, მ. გ. ბენდერსკი, კ. მ. ვალიკი, კ. ს. კილდიშევი „ეი-25 სამძრავმიანი იაკ-40 რეაქტიული სამგზავრო თვითმფრინავი“.

წარმოდგენა საავიაციო მრეწველობის სამინისტრომ.

28. ი. ნ. დენისიუკი „ბოდოგრაფია სამგანზომილებიან გარემოში ჩანაწერით“ (ნაშრომების ციკლი).

წარმოდგენა ს. ი. ვავილოვის სახელობის სახელმწიფო ოპტიკის ინსტიტუტმა.

29. ფ. ვ. დრობიშევი „მაღალი კლასის სიზუსტის უნივერსალური სტერეოფოტოგრამამეტრიული ხელსაწყოებების შემუშავება და დანერგვა აეროფოტოსურათების მიხედვით სხვადასხვა მასშტაბის ტოპოგრაფიული რუკების შესაქმნელად“.

წარმოდგენა მოსკოვის გეოდეზიის, აეროფოტოგადაღებისა და კარტოგრაფიის ინჟინერთა ინსტიტუტმა.

30. ლ. ი. ბარონი, ა. ი. ბერონი, ნ. ვ. ვერესკუნოვი, ვ. ა. დენინჩენკო, ა. ვ. დოკუკინი „ავანასაზირისა და ქანების დაშლის პროცესების საინჟინრო გაანგარიშების მეთოდების შექმნისა და სამთო მანქანების სტატისტიკური დინამიკის შემუშავების სამეცნიერო-კვლევითი ნაშრომების ციკლი“.

წარმოდგენეს სსრ კავშირის ქვანახშირის მრეწველობის სამინისტრომ და ა. ა. სკოჩინსკის სახელობის სამთო საქმის ინსტიტუტმა.

31. ბ. ნ. კრიუჩკოვი, ვ. პ. მაქსიმოვი, ო. ა. მოსკოვცევი, ს. ა. ორუჯევი, ი. ბ. ფაინი, ვ. ი. ფილანოვსკი-ზენკოვი „მაღალეფექტიანი კომპლექსური ტექნიკურ-ტექნოლოგიერ ბადაწყვეტათა შემუშავება და დანერგვა, რომლებმაც უზრუნველყვეს ნავთობის მოკოვების დაჩქარებული განვითარება ტიუმენის ოლქში“.

წარმოდგენეს სსრ კავშირის ნავთობმომპოვებელი მრეწველობის სამინისტრომ, სკკპ ტიუმენის საოლქო კომიტეტმა და ნავთობისა და გაზის სრულიად საკავშირო სამეცნიერო-საკვლევმა ინსტიტუტმა.

32. ნ. ვ. ნიკიტინი, ლ. ი. ბატალოვი, დ. ი. ბურდინი, ბ. ა. ზლობინი, ლ. ნ. შინბაკინი, მ. ა. შკუდი „ოსტანკინოს საბელევიზიო კოშკის პროექტი“.

წარმოდგენეს სსრ კავშირის კავშირგაბმულობის სამინისტრომ და სსრ კავშირის სახმშენთან არსებულმა სამოქალაქო მშენებლობისა და არქიტექტურის სახელმწიფო კომიტეტმა.

ავტორთა კოლექტივები ჭეშვნდება წარდგინების შესაბამისად, უცვლელად აქვეყნებს რა 1970 წლის ლენინური პრემიების მოსაპოვებლად კონკურსში მონაწილეობისათვის დაშვებულ ნაშრომთა სიას, კომიტეტი მიმართავს ხალხთა საზოგადოებრივობას და სთხოვს აუწყოს თავისი აზრი როგორც ამ ნაშრომთა შინაარსზე, ისე წარმოდგენილი ავტორთა კოლექტივების შემადგენლობაზე.

კომიტეტი სთხოვს სამეცნიერო და სამეცნიერო-ტექნიკურ საზოგადოებათა, სამეცნიერო დაწესებულებათა, საწარმოთა და უმაღლეს სასწავლებლთა ხელმძღვანელებს მოაწყონ აღნიშნულ ნაშრომთა და ავტორთა კოლექტივების შემადგენლობების საზოგადოებრივი განხილვა. კომიტეტი გთხოვთ გამოგზავნოთ გამოხმაურებანი და შენიშვნები, აგრეთვე საზოგადოებრივი განხილვის მასალები ამა წლის 20 მარტამდე მისამართით: მოსკოვი კ-51, ნეგლინნაია ქუჩა, სახლი № 29/14.

მომხმარებელთა სიფაქიზის ფასი

გურჯაანის რაიონის ველისციხის მომხმარებელთა საზოგადოების მეკალეთა საუბნო კრებაზე



ველისციხე — ერთ-ერთი დიდი და შეძლებული სოფელია მარტო გურჯაანის რაიონში კი არა, მთელ რესპუბლიკაში. აქაურმა გამრჯე ადამიანებმა, განსაკუთრებით მევენახეებმა, შორს გაითქვეს სახელი უხვი და მაღალხარისხოვანი ყურძნის მოსავლის მოყვანით. თვითეული კაცდღის ღირებულებამ ამ სოფლის კოლმეურნეობაში გასულ წელს ექვს მანეთს გადააჭარბა.

ამიტომ რა გასაკვირველია, რომ ველისციხელი მშრომელის ოჯახი შეძლებულად და კულტურულად ცხოვრობს. თვითონ სოფელი კი უკანასკნელი ათი წლის მანძილზე ნამდვილ ქალაქს დაემსგავსა.

ყოველწლიურად იზრდება და მრავალფეროვანი ხდება ველისციხის სამომხმარებლო კოოპერაციის მუშაობა. მარტო შარშან მოსახლეობას სამ მილიონზე მეტი მანეთის საქონელი მიეყიდა, თითქმის ორჯერ მეტი, ვიდრე 1965 წელს. კოოპერაციის სიძლიერეზე მეტყველებს ისიც, რომ მეპაიეთა რიცხვმა 6.600 კაცს გადააჭარბა.

ამ დღეებში კოლმეურნეობა „ლენინის ანდერძის“ წევრები იღებენ იანვრის შრომის საზღაურს, და მაღაზიებს დიდი გამოცოცხლება დაეტყო. სოფლის მშრომელები თავიანთ მაღაზიებში იძენენ ავეჯს, ტელევიზორებს, პიანინოებს და სხვა საოჯახო ნივთებს.

ძნელია მთლიანად დააკმაყოფილო ველისციხელ მომხმარებელთა ზრდადი მოთხოვნილება. ამიტომ სამომხმარებლო კოოპერაცია ცდილობს ახალი ხერხებისა და მეთოდების დანერგვით სულ უფრო ფართოდ ჩაბას თავის მუშაობაში სოფლის აქტივი, რაც შეიძლება მეტი მეპაიე.

მუშაობა უფრო მრავალმხრივი, საინტერესო და სრულყოფილი გახდა მას შემდეგ, რაც სამომხმარებლო კოოპერაციამ პრაქტიკაში დანერგა მომხმარებელთა საზოგადოებისადმი კონკრეტული, ყოველდღიური, საქმიანი ურთიერთობა და ანგარიშგება უბნების მიხედვით. მას ახლა 15 ასეთი უბანი აქვს.

ამ დღეებში, ველისციხის სამომხმარებლო კოოპერაციამ 1969 წელს გაწეული მუშაობის შესახებ ვრცელი ანგარიში ჩაბარა სოფლის ცენტრის, ე. წ. კოლმეურნეობის უბნის მეპაიეებს.

ყველაზე აღსანიშნავი და მისაბაძი ამ ღონისძიებაში ის იყო, რომ მეპაიეთა საუბნო კრების მომზადება-ჩატარებაში ერთნაირი მონაწილეობა მიიღეს როგორც სამომხმარებლო კოოპერაციის მუშაკებმა, ისე კოლმეურნეობის თავმჯდომარემ დ. მამისაშვილმა, პარტბიუროს მდივანმა ა. ზოშიაშვილმა და სოფლის აქტივმა. კრებამ საქმიანი და პრინციპული ხასიათი მიიღო იმის გამოც, რომ მას ესწრებოდა კოლმეურნე კომუნისტთა და კოლკავშირელთა უმრავლესობა.

მომხმარებელთა საზოგადოების საუბნო კრებაზე სრული და შინაარსიანი ანგარიში წარადგინა ველისციხის სამომხმარებლო კოოპერაციის გამგეობის თავმჯდომარემ გ. ველაშვილმა, რომელიც ოც წელზე მეტია მუშაობს ამ სისტემაში.

— ჩვენ ვამაყობთ, რომ იმ წარმატებებში, რომლებიც 1969 წელს მოიპოვეს ქართველმა კოოპერატორებმა, — თქვა მან, — ველისციხელ კოოპერატორთა წვლილიც არის. ყოველივე ეს მიღწეულია საიუბილეო სოციალისტური შეჯიბრების ფართოდ გაშლით და ვაჭრობის მუშაკთა მაღალი აქტივობით, დიდი მოწოდებით. 3.148.000 მანეთის ნაცვლად ველისციხის სამომხმარებლო კოოპერაციამ 1969 წელს მოსახლეობას 3.161.800 მანეთის საქონელი მიჰყიდა და წლიური დაგეგმვა 100,4 პროცენტით შეასრულა. ასევე წარმატებით იქნა შესრულებული საბჭოების, ყველა სახის პროდუქტების დამზადების და საბაო შენატანების გეგმები.

მომხსენებელმა ხაზი გაუსვა იმას, რომ, მოსახლეობის მეიდეოლობითი უნარის ზრდასთან ერთად, ეს წარმატებები მიეკუთვნება ვაჭრობის მუშაკთა შეგნებულ და თავდადებულ მუშაობას, კულტურული და აღმზრდელობითი მუშაობის ამაღლებას, ვაჭრობის ახალი ფორმებისა და მეთოდების დანერგვას, როგორიც არის, მაგალითად, მაღაზიებს შორის საქონლის შერჩევა და გადაწყვეტა, განვადებითი და საქონლის ბინაზე მიტანით ვაჭრობა, საკირაო-გამოფენითი ვაჭრობა და სხვ. სავაჭრო ობიექტები ძირითადად დაკომპლექტებულია უმაღლესი და სპეციალური სკოლების კურსდამთავრებული კადრებით, მათ შორის უმრავლესობას ქალები წარმოადგენენ. შარშან სოციალისტურ შეჯიბრებაში სასახელო მიჩენენებლებისათვის ათ მუშაკს მიენიჭა კომუნისტური შრომის დამკვრელის წოდება.

მეპაიეთა საუბნო კრებას გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიში ჩაბარეს აგრეთვე ველისციხის მომხმარებელთა საზოგადოების საბჭოების ქსელის დირექტორმა ა. თარხნიშვილმა, სარევიზიო-საკონტროლო კომისიის თავმჯდომარემ ა. კალანდარიშვილა, სავაჭრო ცენტრის დირექტორმა ლ. თათარაშვილმა, სადუქნო კომისიის თავმჯდომარემ ა. მხარგრძელმა და სასადილოს კომისიის თავმჯდომარემ გ. ასიტაშვილმა.

როგორც მომხსენებლებმა, ისე კამათში გამოსულმა მეპაიეებმა მოურიდებლად ამხილეს მუშაობაში არსებული ნაკლოვანებები, დარღვევები, რისთვისაც გასულ წელს გამგეობის მიერ დასჯილია ათზე მეტი მუშაკი.

სახელოვანმა მევენახეებმა მ. მექვეარიშვილმა, ა. ზოშიაშვილმა და ა. ბადუაშვილმა აღნიშნეს რა სამომხმარებლო კოოპერაციის გამგეობის მუშაობის დადებითი მხარეები, სამართლიანად მიუთითეს იმაზე, რომ ქსელში ყოველთვის არ ამოვნება ბოსტეულები, ძეხვეული, რძე და რძის პროდუქტები, ხშირად არ არის ფეხსაცმლის საცი, ხარისხოვანი მარილი და სხვ. მაღაზიების ერთი ნაწილი, განსაკუთრებით სოფლის გარეუბნებში მოთავსებულია შეუფერებელ ბინებში.

საშუალო სკოლის სასწავლო ნაწილის გამგემ ვ. ავალიშვილმა კოოპერატორთა ყურადღება მიაპყრო იმას, რომ შეუფერებელ პირობებში მუშაობს სკოლის მალაზია. მაღაზია არ მარაგდება ისეთი აუცილებელი სასწავლო ნივთებით, როგორიც არის სპეციალური ფანქრები, სახატავი რვეულები და სხვ.

გამოთქვა რა თავისი აზრი სამომხმარებლო კოოპერაციის გამგეობის მუშაობის შესახებ და მიუთითა ზოგიერთ ნაკლზე, სოფელ ველისციხის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ, სოციალისტური შრომის გმირმა დ. მამისაშვილმა დაასკვნა საკითხი, რომ სოფლის ცენტრში მოეწყოს გამაგრილებელი წყლებისა და წვრილი სასურსათო საქონლის სავაჭრო პავილიონი.

მეპაიეთა საუბნო კრებაზე სიტყვით გამოვიდა გურჯაანის რაიკოოპკავშირის გამგეობის თავმჯდომარე რ. კრაწაშვილი.

მეპაიეთა საუბნო კრებამ, რომელსაც 200-ზე მეტი კაცი ესწრებოდა, მიიღო შესაბამისი დადგენილება — განაწესი სამომხმარებლო კოოპერაციის გამგეობის მიმართ. მეპაიეები დაიბარნენ იმ რწმენით, რომ სიტყვას საქმედ აქცევენ.

ვლ. მჟედლიშვილი,
„კომუნისტის“ საკ. კორ.

• • •

სურათებზე: ზემოთ — ველისციხის სოფლის ცენტრი; ქვემოთ (მარცხნიდან) — ველისციხის სამომხმარებლო კოოპერაციის გამგეობის თავმჯდომარე გ. ველაშვილი, ველისციხის კოლმეურნეობა „ლენინის ანდერძის“ თავმჯდომარე, სოციალისტური შრომის გმირი დ. მამისაშვილი, ამავე კოლმეურნეობის ბრიგადირი ა. ზოშიაშვილი, მოანგარიშე ც. ავთანდილაშვილი, სასოფლო საბჭოს თავმჯდომარე ი. მხარგრძელი კრების დაწყების წინ.

ფოტო ბ. ბობოხიასი.

რეფორმა და მომარაგება

როცა ქარხანა ახლებურად მუშაობს

◆

მეურნეობა ხელშეკრულების დადება ფიქრდება. სუნგაითის ქარხნის მიერ გამოშვებული პოლიეთილენი ჩვენი ქარხნის ტექნიკურ პირობებს ვერ აკმაყოფილებს. ამაში გარკვეული „წვლილი“ მიუძღვით „სოიუზგლავხიმის“ და საქართველოს ქიმიური მასალების მომარაგება-გასაღების სამმართველოს მესვეურებს.

სანამ გადაწყდებოდეს საკითხი, თუ ვინ იქნება ქარხნის რეალური მომწოდებელი, ალთათ რამდენიმე თვე გავიელის, ქარხანა რომ ზემოთ აღნიშნული ორგანიზაციების იმედზე დაგეგეგმავენა, სამტრესტის სისტემის ყველა ღვინის ქარხანა პროდუქციის რეალიზაციის გეგმის ჩაშლის ფაქტის წინაშე აღმოჩნდებოდა. მაგრამ ჩვენმა კოლექტივმა დროულად იზრუნა ამისათვის და მთელი რიგი ღონისძიებების შედეგად მოიმარაგა 99 ტონა პოლიეთილენი. ახლა კი ვიღებთ ზომებს, რომ კოოპერაციის გეგმის შესრულების საქმეში ჩვენს ქარხანას დაბრკოლება არ ექნეს.

ჩვენს ქარხანაში ხშირია ფონდების დაგვიანებით გამოყოფა. მაგალითად, წელს საწარმოს გეგმით უნდა გამოეყოს 850 ათასი ცალი სასიგნალო არმატურის ნათურა, მაგრამ ფაქტიურად გამოგვიყვანს მხოლოდ 496 ათასი ცალი, გეგმის შესრულებისათვის ქარხანას აკლია 354 ათასი ცალი ნათურა. ეს საკითხი დღემდე მოუგვარებელია. თუ ქარხანა დროზე არ იქნება უზრუნველყოფილი აღნიშნული ნათურებით, რეალიზაციის გეგმის შესრულების საქმე კითხვის ნიშანქვეშ დადგება. უნდა დაგვეხმაროს საქართველოს მინისტრთა საბჭოსთან არსებული მომარაგება-გასაღების მთავარი სამმართველო.

კარგად დაყენებული კოოპერაცია როგორც ყოველ საწარმოს, ჩვენ ქარხანასაც ეხმარება სასაქონლო პროდუქციის გამოშვების საქმეში. მაგრამ ჩვენთან ხშირად კოოპერაციის გეგმა ვერ სრულდება ფერადი მაგთულის უქონლობის გამო. ქარხნის ტექნიკური მომარაგების განყოფილების თანამშრომლებს შემცველი მასალის ძებნა უხდებათ, ეს თავის დაღს ასვამს მუა პროდუქციის გამოშვების საქმეს და პროდუქციის რეალიზაციასაც აფერხებს.

ჩვენი ქარხნის რიტმული მუშაობა, მუა პროდუქციის გამოშვება, რეალიზაცია მთლიანად არის დამოკიდებული მომარაგების განყოფილების ოპერატიულ მუშაობაზე, შიდასაქარხნო მატერიალური რესურსების მობილიზაციაზე.

საწარმო დაგეგმვისა და ეკონომიური სტიმულირების ახალ მეთოდზე 1968 წლის 1 ივნერიდან გადავიდა. ამიტომ მატერიალურ-ტექნიკური განყოფილების მუშაობაც ასლებურად წარიმართა. ყურადღება ძირითადად ექცევა საწარმოო ფონდების ნორმირებას, საბრუნავი საშუალებების აღრიცხვას, ნედლეულის რაოდენობას. გამოცდილებამ გვიჩვენა, რომ მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების განყოფილების გადაყვანა სამეურნეო ანგარიშზე ეკონომიურად გამართლებულია. ქარხანამ უკვე შეიჯამა ასლებურად მუშაობის შედეგები. თამამად შეგვიძია ვთქვათ, რომ როგორც მატერიალურ-ტექნიკურ მომარაგებაში, ისე საწარმოს ყველა რგოლში გეგმაზომიერად დაინერგა სამეურნეო ანგარიში და მისი ნაყოფიც თვალნათლივ გამოჩნდა.

მართალია, დღეისათვის ქარხნის მატერიალურ-ტექნიკურ მომარაგებას ხარვეზები აქვს, სრულყოფილი. ვერ არის ძირითად და დამხმარე საამქროებს შორის ტვირთბრუნვის შეკანონიზაცია და ავტომატიზაცია, დაბალია დატვირთვა-გადმოტვირთვის და შიდასაქარხნო ტრანსპორტირების სამუშაოთა მექანიზაციის დონე, მაგრამ ქარხანაში ასლადშექმნილი მექანიზაციის ჯგუფი უპირველეს ყოვლისა სწორედ ამ მიმართულებით წარმართავს მუშაობას, რათა შრომატევადი სამუშაოები მექანიზებულ იქნას, რაც საბოლოოდ შეუწყობს ხელს ქარხნის მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების და მუა პროდუქციის რეალიზაციის კარგად მოწყობას.

ქარხნის კოლექტივმა წელს ვალდებულება იკისრა 20 დასახელების პლასტმასის სხვადასხვა ნაწარმი ითავისოს. ამ ვალდებულების შესრულებაში დიდი პასუხისმგებლობა ეკისრებათ ქარხნის მატერიალურ-ტექნიკური განყოფილების მუშაკებს, რომლებმაც დროულად უნდა მოამარაგონ აუცილებელი მასალები. ეს ამყარებდ დიდი მნიშვნელობის საქმეა. ნაკისრი ვალდებულებებით გათვალისწინებულია ბგრეთვე გავწეოთ მასალების დიდი ეკონომია.

კ. ლომსაძე,
ქ. თბილისის „პლასტმასის“ ქარხნის დირექტორის მოადგილე.

სკოლა და ცხოვრება

„ლენინის გენია უკვდავია“ — ასე ეწოდა თეორიულ კონფერენციას, რომელიც ალის საშუალო სკოლამ ალის სახელოთა მეურნეობის მუშა-მოსამსახურეებისა და მშობლებისათვის მოაწყო.

ვ. ი. ლენინის ბავშვობა და ურმობა; ლენინი და ახალგაზრდობა; მუშათა კლასის სულიერი იარაღი; კაცობრიობის უკვდავი გენია; როგორ მუშაობდა ვ. ი. ლენინი; ქარიშხლის რაინდი, — ეი იმ მოხსენებათა თემები, რომლებიც სკოლის კოლკავშირელებმა ქ. გელაშვილმა, ა. ქიტიაშვილმა, ხ. ნოზაძემ, ვ. გარსევანოვამ, ე. ნოზაძემ და მ. მარტინენკომ წაიკითხეს.

ხ. ხეთაგური

ბებეჩკორი. ამას წინათ რაიონის 14 სკოლაში მოეწყო მოსწავლეთა შიდასასკოლო სასწავლო-მემოქმედებითი კონფერენციები, რომლებიც მიეძღვნა ლენინის იდეურ მემკვიდრეობას. სულ მოსმენილ იქნა 75 მოხსენება. ამ კონფერენციების შედეგების განხილვის შემდეგ გაიმართა პირველი შიდასარაიონო კონფერენცია, სადაც განსახილველად გატანილ იქნა სკოლებში შერჩეული 27 მოხსენება.

მოწონება დაიმსახურეს მ. მასხულიას, ფ. ნადარაიას, ლ. ლამბიას, ე. ბარათელის, ა. ლაგვილავას, ნ. ბერულავას, ქ. ჩიქოვანის მოხსენებებმა.

ვ. ბილიუტინი.

ცხაკაია (საკ. კორ.). ამას წინათ ადგილობრივი სახალხო თეატრის შენობაში მოეწყო რაიონის სახალხო განათლების მუშაკთა და მშობლთა გაერთიანებული კრება, რომლის მონაწილეებმა იმსჯელეს არასრულწლოვანთა მიერ დანაშაულის ჩადენის თავიდან აცილებისა და ამ საქმეში მშობლთა პასუხისმგებლობის შემდგომი გაძლიერების ღონისძიებათა შესახებ.

მომხსენებელმა — შინაგან საქმეთა რაიგანყოფილების უფროსმა ა. განგიამ წარმოადგინა იმის ვრცელი სურათი, თუ რა არის გაკეთებული ამ მიმართულებით და როგორი ღონისძიებების გატარება მოუხდებათ შემდგომში განათლების განყოფილებას, მშობლებს, კომკავშირულ,

მსოფლიო დღე

ᲩᲔᲮᲝᲡᲚᲝᲕᲐᲙᲘᲐ

პირველი შედეგები

პრაღა, 17 თებერვალი. (საკდესი). ჩრდილოსლოვაკიის ქალაქ ბრატისლავაში გაიმართა საბჭოთა არმიის მიერ ჩეხოსლოვაკიის განთავისუფლების 25 წლისთავის დღესასწაულის მოწყობი. სლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის კომისიისა და სლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის მთავრობის კომისიის სხდომები.

კომისიათა სხდომებზე აღინიშნა, რომ პარტიის სექტემბრის მოწოდებათა პასუხად, რომ გაშალონ შეჯიბრება ამ დიდი თარიღის აღსანიშნავად, კოლექტიური გალდებულებანი იკისრეს სლოვაკიის 130 სამრეწველო საწარმომ, მეტმა წლიმა სახელმწიფო ორგანიზაციამ, სახელმწიფო მეურნეობებმა და ერთიანმა სასაღლო-სამეურნეო კოოპერატივებმა.

სოციალისტური შეჯიბრება, რომელიც მიზნად ისახავს კიდევ უფრო გაფართოდეს წარმოების მოცულობა, ამაღლდეს შრომითი და ტექნოლოგიური დისციპლინა, მიღწეულ იქნეს ნედლეულის, მასალებისა და ელექტროენერგიის მოხმარების ეკონომია, კარგ შედეგებს იძლევა. მწარმოელთა პატრიოტულმა ინიციატივამ ხელი შეუწყო წარმოების ზრდას სლოვაკიის მანქანთსამშენებელ, საფეიქრო, ხისდამუშავებელ საწარმოებში, ქვანახშირის მაპტებში. მაგალითად, მეშახტეებმა გეგმის გადამეტებით ამოიღეს 37 ათასი ტონა ქვანახშირი.

ᲘᲜᲓᲝᲔᲗᲘ

„სინდიკატის“ პარცხი

დელი, 16 თებერვალი. (საკდესი). დღეს ინდოეთის პრეზიდენტმა ვ. ვ. გირიმ ხელი მოაწერა ბრძანებულებას, რომელიც აუქმებს პრეზიდენტის მმართველობას ბიჰარის შტატში. დღეს, როგორც ინდოეთის დეპუტატთა საგანგებო იუწყება, შტატის გუბერნატორმა ნ. კანუნგომ ინდოეთის ეროვნული კონგრესის მმართველი პარტიის ადგილობრივი ორგანიზაციის ლიდერს დ. პრასად რაის წინადადება მისცა შეადგინოს მთავრობა.

□

Უ. როჯერსი კონგოში

ვაშინგტონი, 17 თებერვალი. საკდესის კორესპონდენტი ლ. ფეგალოვი გვაცნობინებს: ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანი უ. როჯერსი ჩავიდა კონგოში, სადაც გახსნის აფრიკის კონტინენტზე ამერიკის შეერთებული შტატების 38 საელჩოსა და მისიის მეთაურთა თათბირს. თათბირი მიეძღვნება როჯერსის მოგზაურობის პირველ შედეგებს. აღსანიშნავია, რომ თათბირის მონაწილეთა შორის იქნებიან ამერიკის ელჩი სპარეთ აფრიკის რესპუბლიკაში და ამერიკის შეერთებული შტატების კონსულები სამხრეთ როდეზიაში, ანგოლასა და მოზამბიკში.

ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲘᲡ ᲨᲔᲔᲠᲗᲔᲑᲣᲚᲘ ᲨᲢᲐᲢᲔᲑᲘ

ომისა და რეაქციის წინააღმდეგ

ნიუ-იორკი, 17 თებერვალი. (საკდესი). ჩიკაგოში მუშაობა დაამთავრა „ახალი დემოკრატიული კოალიციის“ ეროვნულმა კონფერენციამ, რომელმაც მიიღო მოწოდება გააძლიერონ ბრძოლა ვიეტნამის ომისა და ქვეყნის შიგნით რეაქციის წინააღმდეგ.

კონფერენციაში მონაწილეობდა 28 შტატის 466 დელეგატი, რომლებიც წარმოადგენენ დემოკრატიული პარტიის კლუბებს, პროფკავშირებს, მოქალაქეობრივი უფლებებისათვის მებრძოლთა გაერთიანებებსა და მშვიდობისათვის მებრძოლთა ორგანიზაციებს.

კონფერენციაზე სიტყვა წარმოთქვა „კონიერული მშვიდობისათვის მებრძოლ მოქალაქეთა ორგანიზაციის“ აღმასრულებელმა დირექტორმა ს. გოტლიბმა, რომელმაც ხაზგასმით აღნიშნა, რომ კონფერენციის მონაწილეებს მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი გააძლიერონ ბრძოლა ვიეტნამის ომისა და ამერიკის ეკონომიკის მილიტარიზაციის წინააღმდეგ. ორატორმა მოუწოდა ყველა მშვიდობისმოყვარე ამერიკელს მოაწყოს მთელ ამერიკაში დემონსტრაციები ომისა და მილიტარიზმის წინააღმდეგ 15 აპრილს — გადასახადების გადახდის დღეს.

კონფერენციის შემდეგ დელეგატებმა კოლონებად ჩაიარეს ჩიკაგოს ქუჩებში.

ᲚᲔᲡᲮᲝᲢᲝ

დიქტატორის პირველი დეკრეტი

დარ-ეს-სალამი, 17 თებერვალი. (საკდესი). პრაქტიკულად განუსაზღვრელი რწმუნებანი ენიჭება ლესოტოს პრემიერ-მინისტრს ლებუა ჯონათანს „საგანგებო წესების დეკრეტის“ შესაბამისად, რომელიც გამოქვეყნდა აფრიკის ამ პატარა ქვეყნის დედაქალაქ მასერუში.

როგორც ვიცით, მიმდინარე წლის 30 იანვარს ჯონათანმა ლესოტოში შემოიღო საგანგებო წესები, შეაჩერა კონსტიტუციის მოქმედება და გაუქმა ამას წინით გაძართული პარლამენტის არჩევნების შედეგები, სადაც გამარჯვება მოიპოვეს კონგრესის ოპოზიციური პარტიის მომხრეებმა. შემდეგ დაამატეთ, ოპოზიციის მომხრეები და აკრძალეს ლესოტოს კომუნისტური პარტიის საქმიანობა. როგორც განაცხადა პრემიერ-მინისტრმა, რომლის მთავრობა დგას სამხრეთ-აფრიკის რესპუბლიკის რასისტულ რეჟიმთან შემოინაზმვლობის პოზიციებზე, ლესოტოში ამეშავებენ უფრო „ხელსაყრელ“ კონსტიტუციას და გაიმართება ახალი არჩევნები.

ახალი დეკრეტი პრემიერ-მინისტრს ანიჭებს უფლებას გამოსცეს ყოველგვარი განკარგულებანი, რომელებსაც საჭიროდ მიიჩნევს, შეიტანოს ცვლილებანი ყოველ მოქმედ კანონში, კონფისკაცია უყოს ქონებას, დაამატიმროს და გასახლოს უცხოელები თავისი შეხედულებისამებრ.

როგორც მასერუდან იუწყებიან, ოპოზიციური პარტიის მომხრეები გარეკეს სახელმწიფო აპარატიდან და პოლიციიდან.

კარტიზანთა ოპერაციები

კაირო, 17 თებერვალი. (საკდესი). გასული დღე-ღამის განმავლობაში არაბმა პატრიოტებმა შეუტიეს ისრაელ ოკუპანტებს ზემო გალილეაში, გოლანის მაღლობზე და ღაზის სექტორში. ზემო გალილეაში, ნათქვამია პალესტინის გაერთიანებული სარდლობის განცხადებაში, რომელიც დღეს გაზეთმა „ალ აჰრამმა“ დაბეჭდა, პარტიზანებმა შეუტიეს გასამხედროებულ დიშონის დასახლებას, რაკეტები დაუშინეს ისრაელის პატრულს ჯიბელ ეშ-შეიხის მთებში და რამდენიმე საათის განმავლობაში ცეცხლს უშენდნენ ისრაელის ჯარებს ლიბანის საზღვრის ახლოს.



ᲙᲝᲕᲔᲚᲘ ᲛᲮᲠᲘᲓᲐᲜ

17 თებერვალი

რაზე წერს უცხოეთის პრესა

საზღვარგარეთის პრესა დიდ ყურადღებას უთმობს საკდესის განცხადებას, რომელშიც გადაჭრით დაგმობილია ისრაელ აგრესორთა ბარბაროსული მოქმედება და გამოთქმულია საბჭოთა ადამიანების სოლიდარობა არაბი ხალხისადმი. ბევრი გაზეთი ხაზს უსვამს განცხადების იმ ადგილს, სადაც ნათქვამია, რომ საბჭოთა კავშირი სჭირო დახმარებას გაუწევს არაბულ სახელმწიფოებს, რათა სულ უფრო მტკიცედ დაიცვან თავიანთი უშიშროება, თავიანთი სამართლიანი ინტერესები. პოლონური „ტრიბუნა ლუდუ“ სტატიაში „ცეცხლთან თამაში“ წერს, რომ მთელი მშვიდობისმოყვარე ძალები გმობენ და მტკიცე პროტესტს აცხადებენ ისრაელის მხედრიონის სახიზღარი მოქმედების წინააღმდეგ, რომელსაც მხარს უჭერენ იმპერიალიზმის აგრესიული წრეები. პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობა, აცხადებს გაზეთი, საესებით უჭერს მხარს

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲨᲘᲒᲜᲚᲘᲗᲘᲗᲐᲥᲘ

[illegible] ცნობებს ამერიკის ავიაციის მიერ ლაოსში სურების ბომბის მასირებული დაბომბვის შესახებ. ზოგიერთი გაზეთი აღნიშნავს, რომ ამ თავდასხმებში მონაწილეობდნენ „ბ-52“ ბომბდამშენები.

ინდონეზია „ფაინენშლ ტაიმსი“ აქვეყნებს ინფორმაციას, რომ ფეინნანდო-პოშო-ეხპანეთის აფრიკის ეროვნულ სამფლობელოში დაძაბული ვითარებაა.

იაპონიის გაზეთები ვრცლად აშუქებენ საბჭოთა კავშირ-იაპონიის მოსკოვის ეკონომიური თათბირის მსვლელობას. „ეკონომიურის“ მოჰყავს იაპონიის დელეგაციის მეთაურის ს. ნაგანოს განცხადება, რომ თათბირზე მიღწეულია მნიშვნელოვანი პროგრესი.

ბულგარეთის და ჩეხოსლოვაკიის გაზეთები იუწყებიან, რომ დღეს ჩეხოსლოვაკიის სოციალისტურ რესპუბლიკაში დაიწყო ბულგარეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის, ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ტოდორ ჟივკოვის ვიზიტი. (საკდესი).

ᲡᲐᲛᲮᲠᲔᲗ ᲐᲤᲠᲘᲙᲘᲡ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲐ

მართლმსაჯულება რასისტულად

დარ-ეს-სალამი, 16 თებერვალი. (საკდესი). პრეტორიიდან მიღებული ცნობებით, სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში კვლავ საპყრობილეში ჩასვეს 22 აფრიკელი პატრიოტი, რომლებიც მხოლოდ დღეს გაამართეს.

პროცესზე, რომელიც გასული წლის დეკემბერში დაიწყო, წათბრალად დასდეს ანტიკომუნისტური კანონის დარღვევა. თვით ბრალდება და სამხილი, რომლებიც პატრიოტების წინააღმდეგ შეთხზეს, იმდენად უსაფუძვლო და სასაცილო აღმოჩნდა, რომ ტრანსვაალის პროვინციის, გენერალური პროკურორი კ. დ. შიდი იძულებული გახდა დღეს განეცხადებინა, რომ ერარ ამბობს მხარი დაუჭიროს ბრალდებას, რის შემდეგ მოსამართლე ს. ბეკერმა განასჯა ლენი გაამართლა.

მაგრამ თემიდის რასისტმა მსახურებმა არ მოისურვეს ხელიდან გაეშვათ გამართლებული აფრიკელები. იქვე მათ წაუყენეს ახალი ბრალდება. ამჯერად „ტერორისტული საქმიანობა“, და ისინი სასამართლო დარბაზიდან გაძღვერებელი, თავით ფეხებამდე შეიარაღებული დაცვის თანხლებით კვლავ საპყრობილეში წაიყვანეს.

ᲢᲔᲚᲔᲢᲐᲘᲞᲘᲡ ᲚᲔᲜᲢᲘᲓᲐᲜ

ᲤᲐᲥᲢᲔᲑᲘ

ᲕᲔᲜᲔᲡᲣᲔᲚᲘᲡ ᲙᲝᲛᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲪᲙ-ᲘᲡ ᲞᲚᲔᲜᲣᲛᲘ

● კარაკასი, 17 თებერვალი. (საკდესი). კარაკასში გაიხსნა ვენესუელის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმი, რომელიც განიხილავს პარტიის IV ყრილობისათვის მზადების საკითხებს, აგრეთვე პარტიის წესდებისა და პროგრამის პროექტს.

პლენუმის პირველ სხდომაზე მოხსენება გააკეთა კომპარტიის გენერალურმა მდივანმა ხესუს შარიამ.

ᲡᲔᲡᲘᲐ ᲑᲠᲘᲣᲡᲔᲚᲨᲘ

● ბრიუსელი, 17 თებერვალი. (საკდესი). ბრიუსელის კონგრესების სასახლეში გაიხსნა ევროპის გაერთიანებათა მინისტრების საბჭოს სესია, რომელიც ეძღვნება სოფლის მეურნეობის პრობლემებს.

სესიის დღის წესრიგშია „ექვსეულის“ ქვეყნების სასოფლო-სამეურნეო ბაზარზე კერძოდ, რძის პროდუქტების, შაქრისა და სხვა პროდუქტების ბაზარზე კვოტებისა და ფასების მოწესრიგების საკითხი.

როგორც მოელიან, ევროპის გაერთიანებათა მინისტრების საბჭოს სესია, რომელიც სოფლის მეურნეობის მინისტრების დონეზე მიმდინარეობს, ორ დღეს გასტანს.

ᲓᲔᲤᲘᲪᲘᲢᲘ ᲘᲖᲠᲓᲔᲑᲐ

● ვაშინგტონი, 17 თებერვალი. (საკდესი). ქვეყნის მთელ ისტორიაში უდიდესი დეფიციტით დამთავრდება ამერიკის შეერთებული შტატების გასული წლის საგადამხდელო ბალანსი. ვაჭრობის სამინისტროს მიერ გამოქვეყნებული მონაცემებით, ამერიკის შეერთებული შტატებიდან ფინანსების გადინება 1969 წელს შეადგენს თითქმის 7 მილიარდ დოლარს. ეს მოწმობს, რომ ქვეყნის ფინანსური მდგომარეობა მკვეთრად გაუარესდა წინა 1968 წელთან შედარებით, როცა საგადამხდელო ბალანსი გამოვიდა 168 მილიონი დოლარი აქტიური სალდოთი.

ᲞᲠᲝᲔᲥᲢᲘᲡᲔᲑᲘ ᲒᲠᲫᲔᲚᲓᲔᲑᲐ

● ამანი, 17 თებერვალი. (საკდესი). დღე არ გავა, რომ ისრაელის მხედრიონმა რაიმე შეიარაღებული პროვოკაცია არ ჩაიდინოს მეზობელი არაბული სახელმწიფოების წინააღმდეგ. წუხელ, როგორც აქ დღეს იორდანიის შეიარაღებული ძალების წარმომადგენელმა განაცხადა, ისრაელის საარტილერიო ქვანგანაყოფებმა ცეცხლი ნაუშინეს უმ ვატადის, უმ აშ-შარაფის, მენდელის დასახლებული პუნქტების და მეფე ჰუსეინის ხიდის (მდინარე იორდანის ხეობის სამხრეთი ნაწილი) რაიონში განლაგებული იორდანიის ჯარების პოზიციებს. იორდანიის ჯარებმა ცეცხლს ცეცხლითვე უპასუხეს. სროლა ერთ საათს გრძელდებოდა.

საკდესის განცხადება

საბჭოთა და მსოფლიო სოციალისტური ბანაკის ქვეყნებს, და უწინარეს ყოვლისა ისრაელის მეზობლებს, მათს კანონიერ ინტერესებზე და მიაღებინონ იმპერიალისტური მოთხოვნები. ყველაფრიდან ჩანს, რომ როგორც უწინდელი, ისე ახლანდელი აგრესორები ერთმანეთს მგვანან ერთ რამეში — მოკლე მეხსიერება აქვთ. დროებითი წარმატება გონებას უბნელებს მათ, მაგრამ ბოლოს ყოველთვის სამაგიერო მიეზღვით. გამონაკლისი არც ამჯერად იქნება. რაც უფრო შორს წავლენ ისრაელი აგრესორები დანაშაულობათა გზით, მით უფრო მძიმე იქნება ხალხთა განაჩენი, რომლებიც დღეს სამართლიანად გმობენ ისრაელს, როგორც საგარეო პოლიტიკის ბუნებით იმპერიალისტურ სახელმწიფოს, როგორც ნეოკოლონიალიზმის იარაღს.

საბჭოთა ხალხი გადაჭრით გმობს ისრაელის ბარბაროსულ აგრესიულ მოქმედებას. იგი სოლიდარობას უცხადებს არაბ ხალხებს, რომლებიც თავიანთი კანონიერი უფლებებისათვის იბრძვიან. საბჭოთა კავშირის პოლიტიკა ემსახურება იმ მიზანს, რომ ახლო აღმოსავლეთის რაიონში კვლავ დამკვიდრდეს მშვიდობა და წარსულს ჩაბარდეს, წაიშალოს ეროვნული შუღლისა და ომების კვალი. ეს ჩვენი ქვეყანა არ შეანელებს თავის ღონისძიებებს ამ მიმართულებით.

მაგრამ სანამ აგრესორი ფეხქვეშ თელავს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების პრინციპებსა და მიზნებს, ამ საერთაშორისო ორგანიზაციის გადაწყვეტილებებს ისრაელის აგრესიის შედეგების ლიკვიდაციისა და ახლო აღმოსავლეთში მშვიდობის აღდგენის შესახებ, საბჭოთა კავშირი საჭირო დახმარებას გაუწევს არაბულ სახელმწიფოებს, რომ სულ უფრო მტკიცედ დაიცვან თავიანთი უშიშროება, თავიანთი სამართლიანი ინტერესები.

აგრესიის დანაშაულებრივი პოლიტიკა, ხალხთა ეროვნული თავისუფლების, სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობისა და უშიშროების ხელყოფის დანაშაულებრივი პოლიტიკა არ შეიძლება არ იწვევდეს სულ უფრო ძლიერ წინააღმდეგობას. ამას დაბეჯითებით მოითხოვს აგრეთვე საერთაშორისო მშვიდობის საფუძვლების განმტკიცების ინტერესები.

□

„ამ ბოლო დროს საერთაშორისო იმპერიალისტური წრეები კვიპროსის შინაური რეაქციის დახმარებით კვლავ ცდილობენ გაამწვაონ ვითარება კუნძულზე. ადგენენ კვიპროსის დამოუკიდებელი სახელმწიფოს წინააღმდეგ ფართო შეთქმულების გეგმებს. ფაქტები მოწმობენ, რომ ძლიერდება ტერორისტული ორგანიზაციის „ეროვნული ფრონტისა“ და სხვა ამ რეაქციული ძალების საქმიანობა, რომლებიც დაკავშირებული არიან საბერძნეთის სამხედრო რეჟიმთან და ემსახურებიან აგრესიულ ჩრდილო-ატლანტიკურ ბლოკს. ისინი ფართო პროპაგანდას უწევენ „ენოზისს“ (კვიპროსის შეერთება საბერძნეთთან), რომლის ნიღბით სურთ შექმნან ხელშეწყობი პირობები, რათა კუნძული გადაქცეონ ნატოს სამხედრო პლაცდარმად, მოსპონ რესპუბლიკის დამოუკიდებლობა, გაუსწორდნენ კვიპროსის დემოკრატიულ და პატრიოტულ ძალებს, საბერძნეთის მაგალითისამებრ დაამყარონ ამ ქვეყანაში სამხედრო-ტერორისტული დიქტატურის რეჟიმი.

კვიპროსისა და დასავლეთის პრესის მრავალი ცნობით, კვიპროსზე იქმნება იარაღისა და საბრძოლო მასალის არალეგალური საწყობები, გაბშირდა ტერორისტული აქტები ქვეყნის იმ მოლეტიკურ და საზოგადო მოღვაწეთა წინააღმდეგ, რომლებიც იღვწიან მისი დამოუკიდებლობისათვის, თავდასხმები ხელისუფლების წარმომადგენლებზე. ძლიერდება მოსახლეობის დაშინების კამპანია. შეთქმულნი ცდილობენ გააღვიძონ ღვარძლიანი ანტიკომუნისტური და ანტიხაბეთა პროპაგანდა, უხეშად ამახინჯებენ საბჭოთა კავშირისა და დამოუკიდებლობის შენარჩუნებისათვის ბრძოლაში კვიპროსელი ხალხის სხვა მეგობრების მშვიდობისმოყვარულ საგარეო პოლიტიკას. ადგენენ ქვეყნის თვალსაჩინო მოღვაწეების, დემოკრატიულ პარტიათა და ორგანიზაციათა ხელმძღვანელების ფიზიკური განადგურების გეგმებს, ქმნიან დივერსიულ რაზმებს კვიპროსის მთელი სამეურნეო ცხოვრების დეზორგანიზაციისათვის.

ქვეყნის დამოუკიდებლობასა და უშიშროებას საფრთხეს უქმნიან კუნძულზე განლაგებული უცხოეთის სამხედრო ბაზები და ჯარები, რომლებიც მუდმივი დაძაბულობის წყაროა კვიპროსში. ეჭვს არ იწვევს აგრეთვე ის, თუ რა ხაშინ როლს ასრულებს რეაქციული ბერძენი ოფიცრობა, რომელსაც კვლავ დიდნაშვნელოვანი პოზიციები უჭირავს კვიპროსის რესპუბლიკის შეიარაღებულ ძალებში.

დანაშაულებრივი ანტისახელმწიფოებრივი საქმიანობის აქტიზაცია კვიპროსზე შემთხვევითი როდია. იგი ხაომარი გზით კვიპროსის საკითხის „გადაწყვეტის“ საერთო გეგმის შემადგენელი ნაწილია, რომელსაც უკვე დიდი ხანია ამუშავებენ ნატოს გარკვეულ წრეები კვიპროსელი ხალხის — როგორც ბერძნების, ისე თურქების ძირეული ინტერესების ხაწინააღმდეგოდ, აღმოსავლეთი ხმელთაშუა ზღვის მშვიდობისა და უშიშროების ხაზიანოდ. კვიპროსის მნიშვნელობა ნატოს გეგმებში განსაკუთრებით იზრდება იმასთან დაკავშირებით, რომ საქმიანობას სულ უფრო ძალიერებს ჩრდილო-ატლანტიკური ბლოკი ხმელთაშუა ზღვისა და ახლო აღმოსავლეთის რაიონში, რაც ამწვავებს დაძაბულობას ამ რაიონში და მიმართულია მშვიდობისმოყვარე სახელმწიფოთა ინტერესების წინააღმდეგ.

ცდილობს რა დაარღვიოს ნორმალური ცხოვრება კვიპროსზე, ჩაფუშად ამახინჯებენ ბერძენთა და თურქთა წარმომადგენლებს შორის მოლაპარაკება მშვიდობიანი მოწესრიგების შესახებ და გააღვივოს ძმათა შორის მტრობა კუნძულზე, ნატოს აგენტურა იმედოვნებს ძირი გამოუთხაროს კვიპროსელი ხალხის ანტიიმპერიალისტური ძალების ერთიანობას, შექმნას ხაბაბი იმისათვის, რომ ნატო ჩაერიოს კვიპროსის სახელმწიფოს საქმეებში და წაართვას მას დამოუკიდებლობა.

მაგრამ იმპერიალიზმის ძალების ბრიკები აწყდება კვიპროსის რესპუბლიკის ხალხისა და მთავრობის მზარდ წინააღმდეგობას, რომლებსაც მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი დიაცვან თავიანთი სახელმწიფოს თავისუფლება და დამოუკიდებლობა. კვიპროსელთა სამართლიან საქმეს მხარს უჭერენ მსოფლიოში. ისინი, ვინც ამზადებს სუვერენული კვიპროსის სახელმწიფოს ლიკვიდაციისა და მისი კანონიერი მთავრობის დამხობის გეგმებს, კისრულობენ მძიმე პასუხისმგებლობას ამგვარი მოქმედების შესაძლო შედეგებისათვის, რაც აშკარად ეწინააღმდეგება უშიშროების საბჭოს ცნობილ რეზოლუციებს კვიპროსის შესახებ და აღსავსეა ვითარების სერიოზული გართულებებით ამ რაიონში.

საკდესს დავალებული აქვს განაცხადოს, რომ საბჭოთა კავშირში ყურადღებით ადევნებენ თვალყურს მოვლენების ახლანდელ განვითარებას კვიპროსზე და კვიპროსის ირგარშემო. სსრ კავშირის თანმიმდევრული, პრინციპული პოზიცია კვიპროსის საკითხზე კარგად არის ცნობილი. საბჭოთა კავშირი მტკიცედ უჭერს მხარს კვიპროსის რესპუბლიკის დამოუკიდებლობას, სუვერენიტეტსა და ტერიტორიულ მთლიანობას, მოითხოვს უცხოეთის სამხედრო ბაზების ლიკვიდაციას კვიპროსზე, კვიპროსის საკითხის მშვიდობიან გადაწყვეტას უცხოეთის ჩაურევლად რა ფორმითაც უნდა ვლინდებოდეს იგი. საბჭოთა ხელმძღვანელი წრეებში დაბეჯითებით უსვამენ ხაზს, რომ საჭიროა ბოლო მოეღოს ძირგამომთხრელ საქმიანობას კვიპროსის სახელმწიფოს წინააღმდეგ, საჭიროა თავშეკავება და კეთილგონიერება, პატივისცემა, კვიპროსის რესპუბლიკის-გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სრულუფლებიანი წევრის სუვერენიტეტისა და დამოუკიდებლობისადმი“.

ᲡᲐᲥᲠᲐᲜᲗᲕᲔᲚᲝ

ქ. შაბან-დელმასის გამოსვლა

ბარიზი, 17 თებერვალი. (საკდესი). 1970 წელს გაგრძელდება ეკონომიკის ზრდა საფრანგეთში, მაგრამ მთავრობას იმედი აქვს, რომ ეს ზრდა არ აღემატება 3,9 პროცენტს, განაცხადა საფრანგეთის პრემიერ-მინისტრმა ჟ. შაბან-დელმასმა გუშინ ეროვნული ტელევიზიით გამოსულმა.

როგორც მთავრობის მეთაურმა თქვა, 1969 წლის მეორე ნახევარში საშუალოდ 3,9 პროცენტით მოიმატა ფასებმა.

„თუ 1969 წელს ჩვენ შეგეკავეთ ფასების ზრდა, დევალვაციის მიუხედავად, — თქვა ჟ. შაბან-დელმასმა, — 1970 წელს მტკიცედ გვაქვს გადაწყვეტილი მივაღწიოთ მყიდველობითი უნარის თუნდაც ზომიერ, მაგრამ მაინც „უცილებელ ამაღლებას“ ხელფასის გადიდების საშუალებით, რომელიც „ანაზღაურებს სიძვირის ზრდას“.

ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘ

მე-4 გვერდი, ოთხშაბათი, 18 თებერვალი, 1970 წ.

ბათუმის ბოტანიკურ ბაღში აყვავდა ფოთოლმცვენი მაგნოლია...

ფოტო რ. ლომაძისა.

საქართველოს ამბავი და ჩვენი

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაზეთის სამი ათასი ნომერი

ორჯონიკიძე. (საკ. კორ.). ლენინის საიუბილეო წლის 14 თებერვალს გამოვიდა საქართველოს კპ ორჯონიკიძის რაიკომისა და მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოს ორგანოს „**ლენინის დროშით**" მესამიათასე ნომერი. ამ ღირსშესანიშნავ მოვლენას მიეძღვნა მთელი ნომერი. მოწონავე წერილთან ერთად იქ დაბეჭდილია საქართველოს კპ ორჯონიკიძის რაიკომისა და რაისაბჭოს აღმასკომის, გაზეთების „კომუნისტის", „ზარია ვოსტოკას", „სოფლის ცხოვრების" რედაქციების, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ბეჭდვითი სიტყვის საახალმწიფო კომიტეტის, ქუთაისის, მახარაძის, წყალტუბოს, ხაშურის, გეგეჭკორის გაზეთების მისალმებები, საქართველოს კპ ორჯონიკიძის რაიკომის პირველი მდივნის შ. ჯოგლიძის წერილი. რედაქციას ულოცავენ იგრეთვე აკადემიკოსი ევ. ხარაძე, პოეტი-აკადემიკოსი ირ. აბაშიძე, საბჭოთა კავშირის გმირი დ. ბაქრაძე, რაიონის მშრომელები.

ამავე დღეს გაიმართა გაზეთის მესამიათასე ნომრის საგზისისადმი მიძღვნილი საზეიმო კრება, რომელიც შესავალი სიტყვით გახსნა საქართველოს კპ ორჯონიკიძის რაიკომის პირველმა მდივანმა შ. ჯოგლიძემ. გაზეთის განვლილი მუშაობის შესახებ მოხსენებით გამოვიდა რედაქტორი ქ. სახვაძე.

გაზეთის მხურვალედ მოესალმნენ ეკონომისტი გ. კიკნაძე, ლენინის ორდენოსანი კოლმეურნე ლ. შერგელაშვილი, მეორე საშუალო სკოლის დირექტორი ვ. ლეონავა, მარელისის გრეხილი ვეჯრის ფაბრიკის მუშა თ. შიუკაშვილი, სოფელ ლაშის კოლმეურნეობის თავმჯდომარე ნ. მანჯაგიძე, საქართველოს ალკკ ორჯონიკიძის რაიკომის სასკოლო განყოფილების გამგე ა. აბულაძე, წყალტუბოს, ხაშურისა და ზესტაფონის რაიონული გაზეთების რედაქტორები დ. გაბრაიძე, ლ. კაკაბაშვილი, ნ. კვინიკაძე და სხვ.

დასასრულ გაიმართა კონცერტი.

ახალი ღვინო — გურული შუშხუნა

ჭარბი მაჩვენებლებით დაიწყო ხუთწლედის მეხუთე წელი სამტრედიის ღვინის № 4 ქარხნის კოლექტივმა. იანვრის გეგმა აქ ვადაზე ადრე გადაჭარბებით იქნა შესრულებული. მეღვინეებმა მომხმარებლებს გეგმით გათვალისწინებული 497 ათასი მანეთის ნაცვლად 581 ათასი მანეთის პროდუქცია მიაწოდეს.

შრომაში დაწინაურდა ღვინომასალების საამქროს კოლექტივი, რომელსაც ა. გაბუნიძე ხელმძღვანელობს. ცალკეული მუშაკებიდან თავი ისახელეს ჩამომსხმელებმა ვ. მუსკუდიანმა, შ. ადაკიძემ, შ. ქართველიშვილმა და მფილტრავემ თ. კორტავამ.

ქარხნის კოლექტივმა გადაწყვიტა ოთხი თვის დავალება 22 აპრილისათვის გაანაღდოს და მომხმარებლს გეგმის გადამეტებით 60 ათასი მანეთის პროდუქცია მიაწოდოს.

ამ დღეებში აქ აითვისეს და მომხმარებელს უკვე მიაწოდეს ახალი შამპანურის ტიპის ღვინო „გურული შუშხუნა", რომელიც იხაბელას ჯიშის ყურძნისაგან მზადდება.

ლიდი მოგება

ფოთის წისქვილკომბინატის მუშა-ზეინკალმა მიხეილ სიმონიამ ფოთის ცენტრალურ შემნახველ სალაროში წარადგინა 1966 წლის სახელმწიფო 3-პროცენტიანი შინაგანი მომგებიანი სესხის 20-მანეთიანი ობლიგაცია სერია 175640 № 20, რომელსაც ხვდა მოგება 5000 მანეთი.

ვ. გიგიბერია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ი. ჩაკვეტაძე

გარდაიცვალა სკკპ წევრი 1917 წლიდან, საკავშირო მნიშვნელობის პერსონალური პენსიონერი ივანე ვასილის-ძე **ჩაკვეტაძე.**

ი. ჩაკვეტაძე დაიბადა 1893 წელს გეგეჭკორის რაიონის სოფელ კურზუში, დაობი გლეხის ოჯახში. 1912 წელს ის იწყებს შრომითს საქმიანობას ფოთში. 1917 წლიდან იბმება რევოლუციურ მუშაობაში, ასრულებს პროპაგანდისტ - ორგანიზატორის მოვალეობას სენაკის სამაზრო პარტიულ ორგანიზაციაში. საქართველოში მენშევიკების ბატონობის პერიოდში არაერთხელ იყო დაპატიმრებული. განთავისუფლების შემდეგ იგი სხვა ბოლშევიკებთან ერთად ხელმძღვანელობდა წალენჯიხაში საბჭოთა ხელისუფლებისათვის ბრძოლას.

1920-1921 წლებში ი. ჩაკვეტაძე ბაქოშია და ეწევა აქტიურ რევოლუციურ მოღვაწეობას. 1921 წლის 25 თებერვალს ჩამოდის თბილისში. საიდანაც იგზავნება სენაკის სამაზრო პარტიული კომიტეტის მდივნად. 1928-1929 წლებში ის მუშაობს საქართველოს ყოფმპარტიის ცენტრალურ კომიტეტში განყოფილების გამგედ. 1929-1930 წლებში ისევ სენაკის სამაზრო პარტიული კომიტეტის მდივანია. ერთხანს მუშაობდა პარტიის აფხაზეთის სოფლ. კომიტეტში სასოფლო განყოფილების გამგედ. 1932 წლიდან ი. ჩაკვეტაძე იყო საქართველოს „ტრაქტორცენტრის" მმართველის მოადგილე, სალიბაურის ჩაის საბჭოთა მეურნეობის დირექტორი.

1941 წელს ი. ჩაკვეტაძე საბოგრებლად გადავიდა ზუგდიდში, სხვადასხვა დროს მუშაობდა სამასწავლებლო ინსტიტუტის დირექტორის მოადგილედ, ენგურქალაქლდკომბინატის საყოფაცხოვრებო-კომუნალური განყოფილების უფროსად. 1961 წლიდან პენსიაზე იყო.

ბ. ჩაკვეტაძე ღაჭილდოებული იყო „სპატიო ნიშნის" ორდენით, მედლებით და სიგელებით. ძველი ბოლშევიკის ი. ჩაკვეტაძის ხსოვნა მუდამ დარჩება მისი ამხანაგების გულში.

ამხანაგების ჯგუფი.

აშენდა სადმელში

ამბროლაური. (საკ. კორ.). სადმელელმა კოლმეურნეებმა კარგი საიუბილეო საჩუქარი მიიღეს. სოფლის ცენტრში კოლმეურნეობის ადმინისტრაციული სახლის პირველ სართულში გაიხსნა კლუბი, რომელიც 300 კაცს იტევს.

ეროვნული ეკონომიკური ინქინრები

საქართველოს ვ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტი ერთ-ერთი უდიდესი უმაღლესი სასწავლებელია რესპუბლიკაში. აქ დღის, საღამოს და დაუსწრებელი სწავლების განყოფილებებზე ინჟინერის სპეციალობას ეუფლება მრავალი ახალგაზრდა, რომლებიც შემდეგ ნაყოფიერად მუშაობენ სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგში.

აღსანიშნავია, რომ სასწავლო-საღმზრდელო და სამეცნიერო მუშაობასთან ერთად, ინსტიტუტში ფართოდ არის გაშლილი სტუდენტთა მხატვრული თვითმოქმედება. კარგა ხანია მომავალი ინჟინრების თვითმოქმედმა მუსიკალურმა, ქორეოგრაფიულმა, თეატრალურმა და სხვა ანსამბლებმა, ცალკეულმა ჯგუფებმა და კოლექტივებმა კარგი რეპუტაცია დაიმკვიდრეს.

თითქმის უკვე ხუთი წელია ინსტიტუტში შეიქმნა ორიგინალური მუსიკალური კოლექტივი — ვაჟთა ოთხხმიანი მომღერალთა გუნდი, რომელმაც უკვე მოიპოვა აღიარება და სიყვარული. სტუდენტ მომღერლებს ზმირად ვხედავთ საკონცერტო ესტრადაზე, ცისფერ ეკრანზე როგორც ჩვენს რესპუბლიკაში, ისე მის ფარგლებს გარეთაც. ამ ოცდა ხნის წინათ საკავშირო რადიომ გუნდს სპეციალური გადაცემა მიუძღვნა.

შექმნიდან დღემდე გუნდს სიყვარულითა და დაუღალავი შემოქმედებითი ენერგიით ხელმძღვანელობს ეუნა კუბლაშვილი, რომელსაც მხარში უდგას ინსტიტუტის ხელმძღვანელობა. ამჟამად გუნდში, რომელმაც საკავშირო ფესტივალის ლაურეატობა მოიპოვა თვითმოქმედ მუსიკალურ კოლექტივებს შორის, ვაჟრთიანებულია 70-ზე მეტი მომავალი ინჟინერი.

დღემდე გუნდს საქართველოში და საბჭოთა ქვეყნის სხვადასხვა ქალაქში გამართული აქვს 130-მდე კონცერტი. მრავალფეროვანი და მდიდარია მისი რეპერტუარი — ქართული ხალხური სიმღერები და საგალობლები, ქართველ, მოკავშირე რესპუბლიკების და საზღვარგარეთელ კომპოზიტორთა ნაწარმოებები. თავისი არსებობის მეცრე დროის მანძილზე სტუდენტმა მომღერლებმა შეისწავლეს და შეასრულეს 80-ზე მეტი მნიშვნელოვანი საგუნდო ნაწარმოები.

გუნდის რეპერტუარის მრავალფეროვნება და საშემსრულებლო კულტურა კარგად გამოჩნდა თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის მცირე დარბაზში გამართულ კონცერტზე, რომელმაც მსმენელთა ყურადღება მიიპყრო. კონცერტზე ზაფალპროფესიონალად იქნა შესრულებული ქართული ხალხური სიმღერები „ოდოია", „არხალალო", ქართულ-ებური ხალხური საგალობელი „ღმერთო, უფალო", გრ. კოკისაძის „სიმღერა სამშობლოზე", რ. ლაღიძის „ბსიდრული", შ. ჭანკვეტაძის „ნიკორწმინდა", მარში ეკონის ოპერა „ფაუსტიდან", ინგლისური ხალხური სიმღერა „შორეული ხმები" და სხვ.

ამგვარად საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის ვაჟთა გუნდი მიწვეულია ქ. ყაზანში, სადაც ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავთან დაკავშირებით ტარდება სტუდენტური თვითმოქმედი მუსიკალური კოლექტივების ფესტივალი „ვოლგა-70". უნდა ვიფიქროთ, რომ თბილისელ სტუდენტთა გუნდი სასახელოდ წარსდგება ყაზანელთა წინაშე და ახალ წარმატებას მოიპოვებს ჩვენი ქვეყნის ახალგაზრდა მუსიკოსთა ამ მნიშვნელოვან დათვალიერებაში.

ლ. კიკნაძე.

სურათზე: საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის ვაჟთა გუნდის გამოსვლა თბილისის კონსერვატორიის დარბაზში.

შემთხვევა — კოლმეურნის მაკაცობა

ცხაკაია. (საკ. კორ.). წელს აქ თოვლი არ მოსულა, სამაგიეროდ ხშირად წვიმს, რამაც მდინარეების ადიდება გამოიწვია. ბარახან საშინლად ადიდდა მდინარე ტეხური.

სოფელ ლეძაძამის კვაუთის უბნის მოსწავლეები სკოლისაკენ მიდიოდნენ. დაკიდულ ხიდზე გადასვლის დროს მეოთხეკლასელი გ. აბშილავა ხიდიდან გადავარდა და ტალღებმა გაიტაცეს.

გამძვინვარებულ სტიქიასთან შებრძოლა ძნელი საქმე იყო, მაგრამ ამას ანგარიში არ გაუწია კოლმეურნე ბოჩია ჩიკოვანმა და დაუყოვნებლივ გადაეშვა მდინარეში. მამაცმა ადამიანმა ბავშვი ტალღებს გამოსტაცა და გადაარჩინა.

ამბავი და განაჩენი

სოციალისტური კანონიერების სადარაჯოზე

სოციალისტური კანონიერების განუხრელად დაცვა ნიშნავს რომ არ შეიღახოს მოქალაქის უფლებები, უსაფუძვლოდ არ იქნას ის პასუხისგებაში მიცემული და შეჯავრდებული, ამასთანავე მკაცრად დაისაჯონ ის პირები, რომლებმაც სახელმწიფოებრივი თუ საერთოდ მართლწესრიგის წინააღმდეგ მიმართული დანაშაული ჩაიდინეს. მკაცრად უნდა დაისაჯონ სახელმწიფო და სოციალისტური საკუთრების დამტაცებლები, მექრთამეები, სპეკულანტები, ხულიგნები და ყველა ის პირი, რომლებიც ხელყოფენ მოქალაქეთა სიცოცხლესა და ჯანმრთელობას.

მაგრამ პირის დამნაშავედ ცნობისათვის პირველ რიგში უნდა შემოწმდეს და ამასთანავე სრული ობიექტურობით შეფასდეს, საფუძველს იძლევა თუ არა ამისათვის წარმოდგენილი და განხილული მასალები. კანონის თანახმად დამამტკიცებელ საბუთებად ითვლება მოწმის, დაზარალეულის, ბრალდებულის ჩვენებები, ნივთიერი დამამტკიცებელი საბუთები, ექსპერტთა დასკვნები და სხვ. დამამტკიცებელი საბუთების შეფასებაში ოდნავმა ზერელობამაც კი შეიძლება უნებლიეთ გამორიცხოს ობიექტურობა.

ექსპერტთა დასკვნების უგულებელყოფამ და მოწმეთა ჩვენებების არაერიტიკულად შეფასებამ განაპირობა სწორედ ექიმ ნ. ღირდაღაძის უსაფუძვლოდ პასუხისგებაში მიცემა და სასამართლოს მიერ მის მიმართ გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანაც. ექიმს ბრალი დასდეს იმაში, რომ სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს ბამოჩინა დაუდგრობა, რასაც შედეგად მოჰყვა ბავშვმყოფის სიკვდილი.

საგამომძიებლო ორგანოებმა არ გათვალისწინეს ის გარემოება, რომ ექიმის ბრალის საკითხის სწორად გადაწყვეტისათვის არსებითი მნიშვნელობა ჰქონდა ექსპერტის დასკვნას.

ეს დასკვნები კი ნათელს ხდიდნენ იმ გარემოებას, რომ დიაგნოზის დაზუსტებამდე რაიმე რადიკალური მკურნალობის ჩატარება, კერძოდ ოპერაციის გაკეთება არ შეიძლებოდა. არც იყო საფუძველი და ამიტომ საგამომძიებლო ორგანოებიც ოდნავაც არ შეეჭვდნენ, რომ ექსპერტებს ყალბი დასკვნა ჰქონდათ მიცემული ან რომ ისინი მოსყიდული იყვნენ ცრუ დასკვნის მიცემისათვის. გამომძიებელი ექსპერტთა უნებლიე შეცდომაზე თუ იფიქრებდა, შეიძლო სხვა უფრო კომპეტენტურ ექსპერტთა მოწვევა. ასეთი რამ კი არ მომხდარა, რადგან ექსპერტთა უბრალო შეცდომაც გამორიცხავს.

აღნიშნულის მიუხედავად ღირდაღაძე პასუხისგებაში მისცეს, სახალხო სასამართლომ მას 3 თვრამა-გამასწორებელი სამუშაო შეუფარდა 1 წლის ვადით. ეს განაჩენი ძალაში დატოვა საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიამ. საქართველოს სსრ პროკურატურა ჩატარებული შემდგომი გამოძიებიდან დასკვნის მიცემისათვის დაუბრუნა პროკურატურას. ჩატარებული შემდგომი გამოძიებით მ დასკვნამდე მიგიდეს, რომ ექიმის მოქმედებაში არ იყო სისხლის სამართლის დანაშაულის ნიშნები და საქმე წარმოებით შწყვეტეს. ამრიგად, მკურნალი ექიმი 2 წელს განმავლობაში დამნაშავის სახელს ატარებდა და სრულიად დაუმსახურებლად განიცდიდა სულიერ ტრავმას.

არ უნდა დავიიწყოთ კანონის მითითება, რომ არავითარ დამამტკიცებელ საბუთს წინასწარ დადგენილი ძალა არა აქვს, რომ გამამტყუნებელი მასალები და საბოლოოდ განაჩენი არ შეიძლება იმყარებოდეს საგარაუდო მოსაზრებებს.

სწორედ საგარაუდო მოსაზრებებზე დამყარა თავისი განაჩენი ზუგდიდის რაიონის სახალხო სასამართლომ, როცა საკუთარი დედის მკვლელობაში ცნო დამნაშავედ ი. მიქავა და ამის გამო მას 10 წლით თავისუფლების აღკვეთა შეუფარდა. მიქავას მსჯავრი დაედო იმისათვის, რომ მის ნაჯახის დარტყმით მოკლა დედა. როგორც შემდეგ გამოირკვა, ბრალდება მოლიანად აგებული იყო მოწმეთა ერთმანეთის საწინააღმდეგო, არადამჯერებელ და, რაც მთავარია, დაინტერესებულ პირთა ჩვენებებზე. მოწმეები აჩვენებენ: „მარგალია, არ დამინახავს, მაგრამ დარწმუნებული ვარ ორივე ცოლ-ქმარმა (ლაპარაკია შვილზე და რძალზე) მოკლა", „ეი დარწმუნებული ვარ, რომ ამ ორმა საზიზღარმა ადამიანმა სიცოცხლეს გამოასალმა გამწორული დედა", ან კიდევ: „მე არ მინახავს, მაგრამ მჯერა ცოლ-ქმარი მკვლელები" და ა. შ. საბოლოოდ (მსჯავრდებულის პატიმრობაში ყოფნიდან 3 წლის შემდეგ) სასამართლო სამეცნიერო ექსპერტთა დასკვნით და ობიექტურ მოწმეთა დაკითხვით უდავოდ დადგინდა, რომ დაზარალებული თავის ტვინში სისხლის ჩაქცევის შედეგად გარდაიცვალა, რომ ავადმყოფის გადასარჩენად შვილმა და რძალმაც ყოველგვარი ზომები მიიღეს, სასწრაფოდ გამოუძახეს ექიმს და რომ ამ უკანასკნელმაც თავის მოვალეობა ბოლომდე აღასრულა. ეს ფაქტები, ასევე ექიმ ღირდაღაძის ბრალეულობა, ეჭვს ბადებს ბრალეულობის ობიექტურობაში. ეს ეჭვი ეფუძნება ექიმ ღირდაღაძის ბრალეულობის ობიექტურ ფაქტებს,